

ახალი პასპორტების გაცემა დაიწყო

A4



სასარგებლო ნაგავი

A5



მკითხაობა კალათებით

A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 24 იანვარი, 2006 წელი. №14 (1166)

ფასი 50 თეთრი

# უტიფარი დიპლომატები და საქმიანი პუტინი

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოში შემომავალი გაზსადენისა და ელექტროგადამცემი ხაზის აფეთქების შემდეგ საქართველოსა და რუსეთის საგარეო უწყებების სიტყვიერმა დაპირისპირებამ უცნაური ხასიათი მიიღო. ორივე მხრიდან მოზღვავებული ემოციების ფონზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოლიმპიური სიმშვიდე შეინარჩუნა და ხელქვეითებს დაზიანებების სასწრაფოდ აღმოფხვრა საქმიან ვითარებაში დაავალა. თანაც ისე, რომ საქართველო საერთოდ არ უხსენებია.*

რუსეთის მხარემ 22 იანვარს შეშფოთება გამოთქვა არა თავად რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი უპრეცედენტო დივერსიის, არამედ საქართველოს ოფიციალური პირების მიერ გამოთქმული შეფასებების გამო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების ტექსტი, დიპლომატიისთვის მეტად უცნაური ლექსიკით, 70-ანი წლების გაზეთ "პრავდას" ფურცლებს დაამშვენებდა.

კერძოდ, მოსკოვმა თბილისის რეაქციას **"ისტერიკა და ბაკქანალია"** უწოდა.

**"მოსკოვში უკვე მიჩვეულები არიან იმას, თუ როგორ იქცევა საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობაში.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# აირტურბინები აირის გარეშე და მტრის ჯინაზე

მაია მოსიაშვილი

110 მეგავატი სიმძლავრის ორი აირტურბინა გარდაბანში, "თბილსრესის" მიმდებარე ცარიელ მინდორზე ზუსტად 4 თვეში აშენდა. ეს ელექტროსადგური Pratt end Whitney Power Systems FT8 –1 ტიპის აირტურბინების ბაზაზე აშენებულ ენერგეტიკულ ობიექტს წარმოადგენს. მისი მშენებლობა ავსტრალიურმა კომპანიამ "Capital Turbines"-მა განახორციელა, საინჟინრო, საპროექტო და სატრანსპორტო სამუშაოები კი ამერიკულმა კომპანიამ "Wood Group Power Solution" შეასრულა.

გარდაბნის აირტურბინული ელექტროსადგური სს "ენერჯი ინვესტის" პირველი პროექტია ენერგეტიკაში, რომელიც მან "ვნეშტორგბანკსა" და მის შვილობილ "გაერთიანებულ ქართულ ბანკთან" ერთად განახორციელა. პროექტში განხორციელებულმა დაბანდებამ 60 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა.

გაგრძელება A3 გვერდზე



პრეზიდენტმა "თანამშრომლობის კარგი მაგალითის" ლენტი გაჭრა.

# რუსეთი ბრიტანელ დიპლომატებში ჯაშუშებს ეძებს

როგორც ბრიტანული ტელეკომპანია "ბი-ბი-სი" იუწყება, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება და გაკვირვება გამოთქვა ტელეარხ "როსიას" მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელთა ჯგუფი რუსეთის წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა. ორიოდე დღით ადრე ტელეარხმა "როსიამ" არკადი მამონტოვის გადაცემაში - "სპეციალური კორესპონდენტი" - 2006 წლის ზამთარში მოსკოვში რუსეთის კონტრდაზვერვის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფინალი აჩვენა. როგორც გადაცემის ავტორები ამტკიცებენ, გასული წლის ბოლოს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა ბრიტანელ ჯაშუშთა ჯგუფი გამოავლინეს, რომლებიც დიპლომატის სტატუსით თავისი ქვეყნის საელჩოში მუშაობდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე



## ამბები

### რუსეთი ქართული მხარის განცხადებებმა გააღიზიანა

რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გაზსადენზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს "არაკორექტულს" უწოდებს. როგორც რუსი დიპლომატი განმარტავს, გაზსადენზე მომხდარი ფაქტი ტერორისტული აქტია.

A2



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 24/01 | 25 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | -2 | -10 |
| ტყიბული | -2 | 0 |
| სოხუმი | -5 | -1 |
| დმანისი | -10 | -13 |
| გორი | -7 | -9 |
| ონი | -10 | -13 |
| ზუგდიდი | 0 | 5 |
| ახმეტა | -3 | -9 |
| გაგრა | -4 | 2 |
| სამტრედია | 1 | 5 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| უცხოეთი | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| ტენდერი | B 3 |
| რეკლამა | B 4 |


# რიგგარეშე სამხედრო გაწვევა

## საქართველოს ხელისუფლების ახალი ექსპერიმენტი

*გასული კვირის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მოულოდნელი საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომელიც 30 იანვრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რიგგარეშე სამხედრო გაწვევის დაწყებას ითვალისწინებს. ამ ნაბიჯის უცნაურობა კი ისაა, რომ საშემოდგომო გაწვევა მხოლოდ ერთი თვის წინ დასრულდა, ხოლო კონსტიტუცია ყოველკვარტალურ გაწვევას მხოლოდ საომარი ვითარების შემთხვევაში ითვალისწინებს.*

კობა ლიკლიკაძე

*სპეციალურად „24 საათისთვის"*

რიგგარეშე სამხედრო გაწვევის დაწყების შესახებ პრეზიდენტის განკარგულება ბოლო ხანს პრესით აღარ ქვეყნდება. თუმცა, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში გვითხრეს, შესაბამისი ცირკულარი ყველა საქალაქო გამწვევ განყოფილებას დაეგზავნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რიგგარეშე სამხედრო გაწვევის კამპანია 30 იანვრიდან 15 მარტამდე გასტანს, გეგმა კი 1000 წვევამდელით შემოიფარგლება. ახალ ნაკადზე მოთხოვნილება კი თავდაცვის სამინისტროს გაუჩნდა, რომელმაც საშემოდგომო გაწვევის დროს საკმარისი რაოდენობით ცოცხალი ძალა ვერ მიიღო. შეგახსენებთ, რომ საშემოდგომო გაწვევა 18 დეკემბერს დასრულდა და გამწვევმა კომისიებმა იოლად მოახერხეს გეგმის შესრულება, რომელიც 2500 კაცს შეადგენდა. მეტიც, არსებობს ინფორმაცია, რომ არმიაში სამსახურის რამდენიმე ასეულ მსურველს, მოთხოვნილების არარსებობის გამო, უარი ეთქვა.

შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების დასაკომპლექტებლად ახალი გაწვევის ჩატარება ოპონენტებს ახალ საფუძველს მისცემს სამხედრო უწყების კრიტიკისათვის. სახელდობრ, არსებობს ეჭვი, რომ სამხედრო უწყებამ კარგად არ იცის, თუ რეალურად რა რაოდენობის ცოცხალი ძალა სჭირდება მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. ცალკე პრობლემაა საკითხის წმინდა სამართლებრივი მხარე - კანონის თანახმად, საქართველოში სამხედრო გაწვევა წელიწადში ორჯერ ტარდება. კონსტიტუციური კანონის დარღვევას კი ან საკანონმდებლო ცვლილება სჭირდება, ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თბილისი ბუნებრივ აირს, სავარაუდოდ, დღეს მიიღებს

## დედაქალაქში კი ელექტროენერგიის მოხმარება რეკორდულად გაიზარდა

*აზერბაიჯანიდან გაზის იმპორტის დაწყების მიუხედავად, გაზსადენებში დაბალი წნევის გამო, გუშინ თბილისის ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილი რაიონებისთვის გაზმომარაგების აღდგენა ვერ მოხერხდა. როგორც "თბილგაზის" ხელმძღვანელმა გიორგი გვიჩიანმა განაცხადა, წნევის მატების შემთხვევაში მარცხენა სანაპიროსთვის ბუნებრივი აირის მიწოდება დღეს დილიდან დაიწყება.*

დიანა ჩაჩუა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ, "თელასისა" და "თბილგაზის" წარმომადგენლებთან ერთად, დედაქალაქის ელექტროუზრუნველყოფის საკითხებზე საგანგებო ბრიფინგი გამართა. "თელასი" მოსახლეობას ელექტროენერგიას "თბილგაზის" სქემით მიაწვდის, რადგან დედაქალაქის ზოგ რაიონს ბუნებრივ აირთან ერთად ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება შეუწყდა. როგორც უგულავამ განაცხადა, დედაქალაქის იმ უბნებს, რომელთაც გაზსადენზე მომხდარი დივერსიის გამო ბუნებრივი აირის მოწოდება შეუწყდა, ელექტროენერგია არ შეეზღუდება. რაც შეეხება მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ მომხმარებლებს, რომლებსაც ბუნებრივი აირი ჯერ კიდევ მიეწოდება, მათ გაზმომარაგების შეწყვეტის საშიშროება არ ემუქრებათ და ისინი ბუნებრივ აირს ჩვეულ რეჟიმში მიიღებენ. "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ვალერი ფანცულაიას ინფორმაციით, გაზმომარაგების შეწყვეტის შემდეგ თბილისი რეკორდული რაოდენობის ელექტროენერგიას მოიხმარს. **"გაზის მიწოდების შეწყვეტის შემდგომ, მთელი ღამის განმავლობაში, დედაქალაქმა 9 500 000 კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარა. ეს იყო უპრეცედენტოდ დიდი მოხმარება, რომელიც მხოლოდ ახალი წლის დღეებში ფიქსირდება. ამიტომ, შემუშავდება გრაფიკი და მოსახლეობას დენი 60-90 წუთის განმავლობაში გაეთიშება. გამორთვები, ძირითადად, იმ უბნებზე განხორციელდება, რომლებსაც ბუნებრივი აირი მიეწოდება,"** - აღნიშნა ფანცულაიამ.

როგორც "24 საათი" წერდა, აზერბაიჯანიდან მიღებული ბუნებრივი აირი პირველ რიგში მოსახლეობას, შემდეგ კი ენერგობლოკებს მიეწოდებოდა. თუმცა, გუშინ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტები შეცვალა და თბილისის მოსახლეობის გაზმომარაგებამდე მეცხრე ბლოკის ჩართვა გადაწყვიტა. ენერგობლოკს აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირი ექვსი საათისთვის უნდა მიეღო, მის მიერ გამომუშავებულ სიმძლავრეს კი საქართველოს ენერგოსისტემა გვიან ღამით მიიღებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული ტერაქტების ნუსხა

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი აფეთქების შემდეგ, საქართველოს შს სამინისტრომ ენერგო და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე განხორციელებული ტერაქტების ნუსხა გამოაქვეყნა.

საქართველოს შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წლის განმავლობაში საქართველოში ექვსი დიდი აფეთქების - დივერსიული და ტერორისტული აქტების ჩადენის მცდელობა დაფიქსირდა.

**2004 წლის 14 სექტემბერი.** ხაშურის რაიონი, ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში არ მოვიდა, რის გამოც, აფეთქებას გადაურჩა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "ქართლი"-2.

**2004 წლის 20 სექტემბერი.** გორის რაიონი, სოფელი რეხა, ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში არ მოვიდა, რის გამოც, ასევე აფეთქებას გადაურჩა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები "ქართლი"-2 და "იმერეთი".

გაგრძელება A4 გვერდზე

## გზებზე კვლავ შეზღუდვებია

დიდთოვლობის გამო, საქართველოს საავტომობილო გზებზე კვლავ შეზღუდვებია დაწესებული. გადაადგილების კონკრეტულ წესებთან დაკავშირებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გუშინ მორიგი განცხადება გაავრცელა. დიდთოვლობის და ზვავების გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 40-60 კილომეტრში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო 27-40 კმ-ში და 60-76 კმ-ში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის ქუმლისციხე-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო გუდაური-კობის მონაკვეთზე დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ქუმლისციხე-გუდაურის და კობი-ლარსის მონაკვეთებზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. გზის დანარჩენ მონაკვეთში მოძრაობა თავისუფალია. ასევე, ინტენსიური თოვისა და ქარბუქის გამო, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

*ინტერპრესნიუსი*

## აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი თანამდებობიდან გადადგა

აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი კახა შავაძე თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ კახა შავაძემ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, 8 თვის განმავლობაში ამ თანამდებობაზე მან ნაყოფიერად იმუშავა და მისი მუშაობის პერიოდში აჭარაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, მათ შორის - ყაზახური ინვესტიცია. შავაძის განცხადებით, მას გადადგომის გადაწყვეტილება თვენახევრის წინ ჰქონდა მიღებული, თუმცა ამ პროექტის ბოლომდე მიყვანამდე გადადგომისგან თავს იკავებდა. შავაძე თანამდებობის დატოვების კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს. შავაძის განცხადებით, მას კერძო სექტორიდან აქვს შემოთავაზება და მინისტრის პოსტის დატოვება სწორედ ამის გამო გადაწყვიტა. აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე კახა შავაძის შესაძლო შემცვლელს, სავარაუდოდ, დღეს დაასახელებს.

*ინტერპრესნიუსი*


### გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









### სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვა.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განგბავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


მეუღლე ლიანა მეზურნიშვილი, შვილები ლაშა და ბექა, და ირინა, სიძე ჯემალ შანშიაშვილი, ცოლისძმები კარლო და ვაჟა მეზურნიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი

**მერაბ შალვას ძე მერაბიშვილი**

პანაშვიდი 24 და 25 იანვარს
ქ. თბილისი, არაყიშვილის II ჩიხი № 6
გამოსვენება 26 იანვარს 14 საათზე ვაკის სამების ეკლესიიდან

# პარლამენტარები „მეხუთე კოლონას" ეძებენ

გიორგი ასანიშვილი



*ბიუროს სხდომა პარლამენტის თავმჯდომარემ მთავრობის ქებით დაიწყო.*

ილიკო ლომიძის ფოტო

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებს. სპიკერის თქმით, რუსეთის მხრიდან განხორციელებული ენერგეტიკული საბოტაჟის დროს საქართველოს ხელისუფლება კოორდინირებულად, კონსოლიდირებულად და, პრაქტიკულად, უშეცდომოდ მოქმედებდა.

**"რაც არ უნდა კრიტიკულად შეხედონ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი გუნდის გუშინდელ ქმედებებს, ერთ ნაკლსაც ვერავინ იპოვის. პრეზიდენტმა, პრემიერმა და მთავრობამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რუსეთში განხორციელებული დივერსიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი. მოვლენების განვითარებამ დაგვანახა, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, წინ აღუდგეს ნებისმიერ კრიზისს,"** - პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ გარჯა შეუქო სხვა სახელისუფლებო შტოში მოღვაწე თანაგუნდელებს.

პარლამენტის თავმჯდომარე, ამავე დროს, აღშფოთებას გამოთქვამს იმ ტონის გამო, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებში შეიმჩნევა და რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია "ისტერიად" და "ბაქანალიად" არის შეფასებული.

**"როდესაც სამ სხვადასხვა ადგილას ხდება აფეთქება, იმის მაგივრად, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ამის მიზეზებით დაინტერესებულიყო და თავისი შეშფოთება გამოეხატა, ის აბსოლუტურად აღმაშფოთებელი და არადიპლომატიური განცხადებების გაკეთებით იყო დაკავებული,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე და იქვე დასძენს, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ვერც საქართველოს პრეზიდენტმა და ვერც პრემიერ-მინისტრმა რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.

ნინო ბურჯანაძე, რუსეთის პოლიტიკური წრეების გარდა, ოპოზიციასაც აკრიტიკებს და შენიშნავს, რომ ხელისუფლების ოპონენტები გაზსადენის პრივატიზების თემაზე "ზედმეტი პათოსით საუბრობენ".

**"გაზსადენის რუსეთის ხელში ჩაგდებას არავინ აპირებს. გარწმუნებთ, რომ არც პრეზიდენტი და არც ხელისუფლების სხვა რომელიმე წარმომადგენელი ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე არც კი ფიქრობს. ჩვენ გვინდა, რომ ენერგოსისტემის დივერსიფიკაცია მოვახდინოთ და არ დავუშვებთ, ვინმე მონოპოლისტის მდგომარეობაში ჩავაყენოთ,"** - განმარტავს პარლამენტის სპიკერი.

ნინო ბურჯანაძესთან ერთად, ხელისუფლების ოპონენტებს დეპუტატი გივი თარგამაძეც უტევს, რომელიც ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს "მეხუთე კოლონად" მოიხსენიებს.

ოპოზიციამ საპარლამენტო უმრავლესობას "ხურდა" უმალვე დაუბრუნა. "დემფრონტის" თავმჯდომარის დავით ზურაბიშვილის თქმით, მეხუთე კოლონის წევრები სწორედ ხელისუფლებაში არიან.

**"მეხუთე კოლონის წარმომადგენლები ხელისუფლებამ თავისთან მოიკითხოს. ამ კოლონის ერთ-ერთი წარმომადგენელია სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, რომელიც ღიად უჭერს მხარს გაზსადენის რუსეთისთვის გადაცემას,"** - აცხადებს ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი და "პირობას დებს", რომ პარლამენტის სხდომების განახლებისთანავე დასვამს ბენდუქიძისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს.

"დემოკრატიულ ფრონტთან" ერთად, "მემარჯვენე ოპოზიციაც" ცდილობს, გააქარწყლოს ის ამაღლებული განწყობა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას მთავრობის მიმართ შეექმნა. ბიუროს სხდომაზე ზურაბ ტყემალაძე ირონიით შეხვდა სპიკერის განცხადებას იმის შესახებ, რომ ენერგოკრიზისის თავიდან ასაცილებლად ეროვნულმა ბანკმა ოპერატიულად, ერთ დღეში მოახერხა 14 მილიონი ლარის გამოძებნა.

**"ძალიან ცუდია, როდესაც 200 მილიონი ლარი ეროვნულ ბანკში უძრავად დევს,"** - პროტესტს გამოთქვამს ტყემალაძე.

ოპოზიციონერი დეპუტატის "უმადურობა" ნინო ბურჯანაძემ "ადგილზევე ალკვეთა".

**"აბა, ის იყო კარგი, შევარდნაძის დროს ფორსმაჟორულ სიტუაციებში ერთი მილიონი ლარის თავმოყრაც რომ ვერ ხერხდებოდა?"** - ახლო წარსულს შეახსენებს ნინო ბურჯანაძე "მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერს.

ასეთი კინკლაობის მიუხედავად, უმრავლესობა და ოპოზიცია ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ რუსეთის მხრიდან განხორციელებული დივერსია უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების მიერ, პრაქტიკულად, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნის თაობაზე.

ამ საკითხზე დეტალური მსჯელობა 7 თებერვალს პარლამენტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე გაიმართება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავაც დაესწრებიან. მანამდე კი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში ჩატარდება საკომიტეტო მოსმენა, რომელზეც იგივე საკითხი იქნება განხილული.

# რუსეთი ქართული მხარის განცხადებებმა გაალიზიანა

ნათია მსხილაძე

*რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გაზსადენზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს "არაკორექტულს" უწოდებს. როგორც რუსი დიპლომატი განმარტავს, გაზსადენზე მომხდარი ფაქტი ტერორისტული აქტია.*



*რუსეთის ელჩმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოსთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივა.*

ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა პრესკონფერენციის გამართვა გადაწყვიტა და გაზსადენზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადება ზედმეტად პოლიტიზირებულად შეაფასა. ელჩის თქმით, ქართულმა მხარემ ისეთი მკვეთრი განცხადებები გააკეთა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებას ხელს არ უწყობს. **''ვერ მივიღებთ საქართველოს ხელისუფლების ბრალდებებს, რომლის მიხედვითაც, გაზსადენზე მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს ეკისრება და რომელიც მოსკოვის მხრიდან მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ შანტაჟსა და მიზანმიმართული დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას უკავშირდება,''** - აცხადებს ჩხიკვიშვილი.

ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გაკვირვებული აღმოჩნდა იმის გამოც, რომ აფეთქებიდან რამდენიმე საათში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი აფეთქების დეტალებზე თავის რუს კოლეგებზე მეტ ინფორმაციას ფლობდა.

**''გაზსადენზე მომხდარი აფეთქება რომ რუსეთის ინტერესებში აშკარად არ შედიოდა, ეს ლოგიკური და ნათელია. საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში შექმნილი ენერგოკრიზისი გამოწვეულია შაბათს, გვიან ღამით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 20 წუთის ინტერვალში გაზსადენსა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძაზე მომხდარი აფეთქებით,''** -აღნიშნა რუსმა დიპლომატმა. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ჩრდილოეთ ოსეთის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე გაზსადენსა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძაზე აფეთქება ტროტილის საშუალებით მოხდა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა ანძის სამ ფეხზე იყო დამონტაჟებული, რამაც ანძის დაზიანება გამოიწვია. რუსი დიპლომატის თქმით, რუსეთი გაზსადენზე სარემონტო სამუშაოებს უკვე შეუდგა და დანაკარგის საკომპენსაციოდ მაქსიმუმს აკეთებს.

ელჩის განმარტებით, ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები, რუსეთის მხრიდან დივერსიისა და ენერგოშანტაჟის შესახებ, არაკორექტულია და მას რუსული მხარე ვერ მიიღებს. ჩხიკვიშვილი ლოგიკას ვერ ხედავს იმაში, რომ რუსეთი გაზსადენს ჯერ აფეთქებდეს და შემდეგ მის სარემონტო სამუშაოებს ოპერატიულად იწყებდეს.

რუსეთის ელჩის განცხადებით, რუსეთი კოლოსალურ თანხას დებს საქართველოს ენერგომომარაგებაში. ამის ერთ-ერთ მაგალითად მან გარდაბანში დაგეგმილი აირტურბინული ელექტროსადგურის გახსნა დაასახელა. მისი თქმით, ელექტროსადგური სწორედ რუსულმა ''ვნეშტორგბანკმა" დააფინანსა.**''მესმის, რომ მომხდარი ფაქტი ძლიერი დარტყმაა საქართველოსთვის. მაგრამ მისი ზედმეტი პოლიტიზირება ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებას ხელს არ შეუწყობს. მომხდარი ფაქტი რუსეთისთვისაც სერიოზული დარტყმაა, რადგან აფეთქება რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა. ამასთან, მის აღსადგენ სამუშაოებს დიდი თანხა დასჭირდება,"** - აცხადებს ჩხიკვიშვილი.

# 100 მილიონიანი ინვესტიცია აჭარას, 21 საკურორტო ობიექტი ყაზახებს

შორენა ბოგირაიშვილი
*ბათუმიდან*

ყაზახური ბანკის "ტურანალემის" მხარდაჭერით კომპანია "ყაზახი ინვესტორები" აჭარაში არსებული 21 ობიექტის მფლობელი გახდა. 2007 წლიდან აჭარაში ახალი სასტუმრო კომპლექსები აშენდება. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საინვესტიციო თანხა ყაზახური მხარის განცხადებით 100 მლნ აშშ დოლარია, თუმცა გრანდიოზული ინვესტიცია, უმეტესობისგან განსხვავებით, მტკივნეული იმათთვის აღმოჩნდა, ვინც ამ ხნის მანძილზე იმ ობიექტებში ცხოვრობდა, უკვე ყაზახებს რომ ეკუთვნით. სასტუმროები: "მესხეთი", "მედეა" და პანსიონატი "ქობულეთი" ის სასტარტო ობიექტებია, საიდანაც დევნილების გამოსახლებაზე საუბარი უკვე დაიწყო, დანარჩენი ობიექტების ათვისებაზე კი ალბათ მოგვიანებით გახდება ცნობილი. ის სია კი, რომელიც საკამოდ სოლიდური და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის ობიექტებითაა შედგენილი, ასე გამოიყურება: **სასტუმრო "მესხეთი," სააქციო საზოგადოებები: "სანატორიუმი მახინჯაური," "დასასვენებელი სახლი ნარინჯი", "სანატორიუმი აჭარა", "სანატორიუმი მწვანე კონცხი," სს "პანსიონატი მზიური," სს "ნიავი," სს "ჰორიზონტი," შპს-ები: დასასვენებელი სახლი "მწვანე კონცხი," "ტურბაზა მწვანე კონცხი," "მედეა", "პანსიონატი ჩირაღდანი," "ტალღა," "ტურბაზა ციხისძირი," "აისი," "ტურბაზა ჩაქვი," საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტურისტული ბაზა "ქობულეთი," დასასვენებელი სახლი "კოლხეთი" და ყოფილი პიონერთა ბანაკი "მწვანე კონცხი".**

ყაზახური ბანკის "ტურანალემის" წარმომადგენლის იერკინ ტატიშევის განცხადებით, საქართველოსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობა დღითიდღე მტკიცდება. **"პროექტის ინვესტორია კომპანია "ყაზახი ინვესტორები", ხოლო ბანკი ამ შემთხვევაში გამოდის, როგორც პროექტის ოპერატორი. ვფიქრობთ, რომ ეს პროექტი გაამართლებს და ყველა მოგებული დარჩება, რაც მთავარია საქართველოს, აჭარის მოსახლეობა,"** - აღნიშნა ტატიშევმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ კი ამ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა: **"ეს რეალურად დიდი ისტორიული გადაწყვეტილებაა, რომ აჭარაში ერთი ინვესტორის დახმარებით, რომელმაც შემოიტანა საინვესტიციო წინადადება, კეთდება ასეთი დიდი საქმე. გადაწყვეტილება მიღებულია და იმ 1900 ოჯახზე მეტს, ვინც დღეს ცხოვრობს ამ სასტუმროებში, გადაეცემათ ფულადი კომპენსაცია არანაკლებ 7000 აშშ დოლარისა."** მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ბანკი იღებს ვალდებულებას იმაზე, რომ არც ერთი გაყიდული ობიექტი არ დაკარგავს პროფილს. **"რაც მთავარია, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ხოლო დევნილებს მიეცემათ საშუალება, მესაკუთრეები გახდნენ,"** - აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ, რომლის განცხადებამ აჭარაში მცხოვრები დევნილები გააღიზიანა.

ბათუმში სულ 2395 დევნილია. სასტუმრო "მესხეთსა" და "მედეაში" დევნილები უკვე 10 წელზე მეტია, ცხოვრობენ. იციან, რომ ეს მათი დროებითი საცხოვრებელია და ისიც ახსოვთ, რომ მუდმივი კერა აფხაზეთში იძულებით დაატოვებინეს. საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილები არასოდეს ყოფილან, რადგან ერთ ოთახში ხუთი ადამიანის თანადროული ცხოვრების დროს კომფორტზე საუბარი ზედმეტია, თუმცა იმასაც ჯერდებოდნენ, რომ თავზე არ აწვიმდათ. მათი საცხოვრებელი ობიექტები სასტუმრო "ივერიას" ხვედრს რომ გაიზიარებდნენ, ალღოთი გრძნობდნენ, თუმცა არ ეგონათ, რომ ამის შესახებ მხოლოდ ტელევიზიიდან გაიგებდნენ და რომ "საკურორტო ქალაქში" მათთვის 7 000 აშშ დოლარზე მეტს არ გაიმეტებდნენ. **"ადგილობრივი მთავრობა ჩვენთან არ გამოჩენილა, ყურადღება არავის მოუქცევია. ჩვენი მთავარი მოთხოვნა შემოთავაზებული თანხის გაორმაგებაა. 7 000 დოლარად ქალაქის ტერიტორიაზე ვერავითარ საცხოვრებელ ფართს ვერ ვიყიდით, თუ ასეა, მივცემთ მათ ამ თანხას და თვითონ მოგვიძებნონ ბინები. არავინ გვეკითხება, 7 000 გვყოფნის თუ არა,"** - განაცხადა დევნილთა მიერ შექმნილი საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენელმა ტარიელ თოლორდავამ იმ კრებაზე, რომელიც სასტუმრო "მესხეთში" გაიმართა და რომელზეც ერთმანეთის აზრს დევნილები იზიარებდნენ, სადაც ისიც აღნიშნეს, რომ აფხაზეთის მთავრობას შეატყობინეს არსებული ვითარება: **"ალასანიას ველით, თორემ აჭარის დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა გუჩმანიძე ჩვენამდე არ მოდის, მოვიდეს და დავილაპარაკოთ. თუ ვერ შევთანხმდით, შიმშილობას გამოვაცხადებთ და რაც არ უნდა მოხდეს, ამჟამინდელ საცხოვრებელ ფართს არ დავტოვებთ. აფხაზეთში ვომობდით და არც აქ შევუშინდებით ვინმეს,"** – აღნიშნეს დვნილებმა.

აჭარის დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა გუჩმანიძემ მასთან ინტერვიუზე მისული "24 საათიც" უარით გაისტუმრა. 21 იანვარს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ლევან ვარშალომიძესთან ერთად მართლაც შეხვდა დევნილებს სასტუმრო "მესხეთის" ჰოლში, სადაც იძულებით გადაადგილებულთა მოთხოვნის გაცნობა სცადა, თუმცა ხალხი აღელდა და კონსტრუქციული საუბარი არ შედგა, ამიტომ გადაწყდა, რომ დევნილთა პრობლემებს ის საგანგებო კომისია განიხილავს, რომელიც 23 იანვრიდან შეიქმნება და რომელშიც ერთ-ერთი წარმომადგენელი დევნილთაგანაც იქნება.

ირაკლი ალასანია სასტუმროში მცხოვრებთ 7 000 დოლარის გაორმაგებას არა, მაგრამ ამის შესახებ მსჯელობას დაჰპირდა. სასტუმროში მისულ პირველ პირებს დევნილების პოზიციას აჭარაში მოქმედი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი აცნობდა. აქვე ითქვა, რომ სასტუმროებიდან ლტოლვილების განსახლების პროცესში არასამთავრობოები აქტიურად იქნებიან ჩართული. **"შეიქმნება კომისია, სადაც ერთ-ერთი აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი იქნება და ერთი კი - თქვენი წარმომადგენელი,"** – ამ სიტყვებით მიმართა ლევან ვარშალომიძემ დევნილებს. **"ჩვენი მიზანი ამ საკითხების სამართლიანად გადაწყვეტაა,"** - განაცხადა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ.

**"ორი კვირის განმავლობაში ხელი მოეწერება საინვესტიციო კონტრაქტს, რის შემდეგაც რეალურად დაიწყება პროექტის განხორციელება,"** – განაცხადა ლევან ვარშალომიძემ, დევნილებს კი სასტუმროების გასათავისუფლებლად ორი თვის ვადა მიეცათ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს გუშინწინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ხელისუფლების რეაქციას გაზსადენის აფეთქებასთან დაკავშირებით "ისტერიკა და ბაქანალია" უწოდა. როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული შეფასების არსებობა დიპლომატიური არხებით არ დასტურდება და ის მხოლოდ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს. აქედან გამომდინარე, საგარეო უწყება მასმედიის ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

ამავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის მხარე დივერსიის ფაქტებს დროულად გამოიძიებს, ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს დასჯის და დაზიანებულ გაზსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზს უმოკლეს ვადებში აღადგენს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ზაზა გოროზიამ ზუგდიდისა და გალის საზღვარზე განთავსებული ქართული საგუშაგოები მოინახულა. მისი განცხადებით, მკაცრად კონტროლდება გალისა და ზუგდიდის რაიონის ადმინისტრაციული საზღვარი. გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში პროდუქტი მხოლოდ ენგურის საავტომობილო ხიდის გავლით შეაქვთ. მიღებულია ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი საშიშროება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა გუშინ თბილისის სკოლებისა და ბაღების შეშით მომარაგება დაიწყო. როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განაცხადა, სკოლებსა და ბაღებზე 60-80 კუბამეტრი შეშა განაწილდება.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა ინფორმაციით, თბილისში ბუნებრივი აირით მხოლოდ 18 სკოლა თბება, ამიტომ დანარჩენ სკოლებში სწავლა დღეიდან განახლდება.

მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი დივერსიის გამო, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მითითებით, საქართველოს ყველა სასწავლო დაწესებულებაში სწავლა ერთი დღით შეწყდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ახალციხე.** სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის გოგა ხაჩიძის განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა რაიონისთვის, რომელსაც გაზმომარაგება შეუწყდა, ადიგენისა და ბორჯომის სატყეო მეურნეობებში დიდი რაოდენობით შეშა მზადდება.

შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობას მდგომარეობის გამოსწორებამდე გააგრძელებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ყაჩაღური ჯგუფის წევრები, გალის რაიონის სოფელ კოხორას მკვიდრი, დროებით თბილისში მცხოვრები, 20 წლის ბაჩო შენგელია, რომლისგანაც ამოიღეს ნომერწაშლილი რევოლვერი "ნაგანი" 5 ვაზნით და თბილისელი, 29 წლის ვლადიმერ მამულია, რომლისგანაც ამოიღეს თვითნაკეთი რევოლვერი შვიდი ვაზნით.

სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ბოროტმოქმედები 2005 წლიდან დღემდე ცეცხლსასროლი იარაღებით სისტემატიურად თავს ესხმოდნენ საქართველოს მოქალაქეებს და სტაცებდნენ მობილურ ტელეფონებს, ფულსა და პირად ნივთებს. ბოლო პერიოდში მათ თბილისის სკვერებში დააყაჩაღეს ათამდე მოქალაქე. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით ქართველმა მესაზღვრეებმა ირანის ორი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის გადალახვას ყალბი პასპორტებით ცდილობდნენ. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, დაკავების ღონისძიება თბილისის აეროპორტში, "თბილისი-პარიზის" რეისზე განხორციელდა. სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს ირანის მოქალაქეებს შვედეთის მოქალაქეების ყალბი პასპორტები აღმოაჩნდათ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბუნებრივი აირის შეწყვეტასთან დაკავშირებით, პრობლემები შეიქმნა სასჯელაღსრულების დაწესებულების ქუთაისის N2 საპყრობილეში. ახალი საპყრობილე, რომელიც ბუნებრივი აირით თბებოდა, სასწრაფოდ გადაიყვანეს ალტერნატიული გათბობის სისტემაზე. გუშინწინ გვიან ღამით ქუთაისის საპყრობილე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალიამ მოინახულა, რომელმაც ნახევარი ტონა საწვავი ჩაიტანა საპყრობილესთვის. ბაჩო ახალაია პატიმრებსაც შეხვდა. ამჟამად ციხის ყველა კორპუსი თბება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ფოთის პორტში კონტრაბანდის ორი ფაქტი გამოავლინეს. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, შპს "ჯაოკენს" და ინდმეწარმე "დევნოზ ინასარიძეს" კერამიკული ფილები შემოჰქონდათ, თუმცა ინვოისი და ანგარიშფაქტურები გაყალბებული ჰქონდათ და შემცირებულ ღირებულებას უჩვენებდნენ. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# აირტურბინები აირის გარეშე და მტრის ჭინაზე

პირველი გვერდიდან

**"ეს პროექტი თამამად შეიძლება ჩაითვალოს "ვნეშტორგბანკის" მიერ საქართველოში განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ და წარმატებულ პროექტად. ჩვენ ყველანი კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ როცა ეკონომიკური ინტერესები წინა პლანზე გამოდის, იქ კინკლაობისა და უსაგნო დებატებისთვის არც დრო რჩება და არც ადგილი,"** - განცხადა "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ.

აირ-ტურბინების საზეიმო გახსნას თითქმის მთელი მთავრობა და "აზოტის" ორასამდე თანამშრომელი დაესწრო. საგულდაგულოდ მომზადებულ სცენაზე საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ავიდნენ, მასპინძლებთან ერთად. წითელი ლენტი კი მიხეილ სააკაშვილმა გაჭრა, თუმცა მანამდე მან მოკლე სიტყვა წარმოთქვა, სადაც ამ ახალი ენერგოობიექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, მკაცრი განცხადებები გააკეთა რუსეთის მისამართით და კიდევ ერთხელ შეაქო საკუთარი ხელისუფლება.



ასე გამოიყურება აირტურბინები.

**"ის, რაც ხდება დღეს, არის ქართულ-რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის კარგი მაგალითი. ჩვენ მუდმივად გახსნილი ვართ ასეთი თანამშრომლობისთვის და იმედი გვაქვს, რომ ცუდი მაგალითები აღარ იქნება. ის, ვინც ააფეთქა გუშინ საქართველოს მთავარი ელექტროგადამცემები და გაზის ხაზები, იმედოვნებდნენ, რომ აგვიხდებოდა ყველაზე ცუდი რამ, რასაც დაგვპირდნენ, რომ საქართველო მთლიანად ჩაბნელდებოდა და გაიყინებოდა. ვერ მივართვით!.. რადგან ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დავიწყეთ მზადება ასეთი სცენარებისთვის. მაშინ ჩვენ ვთქვით, რა ავარიები ან აფეთქებებიც უნდა იყოს, გვქონდეს ყოველთვის ალტერნატივა. ჩვენ ვიმუშავეთ და გავარემონტეთ ჰიდროელექტროსადგურები, გავაუმჯობესეთ ელექტროგადაცემის ხაზები, დაფინანსება გამოვძებნეთ ყველაფერ ამისთვის და ამაზე მუშაობას კვლავ გავაგრძელებთ. ერთ წელიწადში ყველაფერს ვერც მოვასწრებდით, თუმცა ის, რომ საქართველო არ ჩაბნელდა მთლიანად, ეს ჩვენი ენერგეტიკოსების მუშაობის შედეგია, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად. ამავე დროს, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ დივერსიფიკაცია, უნდა შეიქმნას ახალი ენერგოობიექტები და ახალი კომუნიკაციები.**

**ბოლო დღეების მოვლენებმა ნათლად დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ეს აღარ არის არც საქართველოს, არც უკრაინის საკითხი, ეს ევროპის და მთელი მსოფლიოს ენერგოუსაფრთხოებას ეხება. ერთი წლის წინ ძნელი იყო პარტნიორების მოძებნა, რადგან ბევრი ფიქრობდა, რომ დღევანდელი მსოფლიო ენერგოწესრიგი არის ნორმალური და მისაღები. დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ის არ იძლევა იმ გარანტიებს, რომელიც სჭირდება ყველა განვითარებულ ქვეყანას. საქართველო მზად არის ახალი ენერგოსისტემის და ალტერნატივის პიროებში მნიშვნელოვანი სატრანზიტო წერტილის და ბურჯის როლი შეასრულოს,"** - განაცხადა საქართველო პრეზიდენტმა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს მუშაობას ხუდონის მშენებლობის განახლებაზე. თავისი გამოსვლის ბოლოს მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ენერგომატარებლებით მომარაგება რუსეთიდან სტაბილური გახდება და ეს ქვეყანა აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოსთან.

**"ჩვენ რუსეთს ვთხოვეთ, გადმოგვცეს ის ხალხი, ვინც შარშან განახორციელა დივერსია. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ასეთი რამ აღარასდროს განმეორდეს და ბევრად უფრო კარგი თანამშრომლობის რეჟიმები შევქმნათ იმისათვის, რომ მომავალში ასეთი გარემოებები გამოირიცხოს. ჩვენ გადავდივართ სრულიად სხვა ცივილიზებულ ურთიერთობებზე, დღევანდელი დღე ამის მაგალითია,"** - ასე დაასრულა სიტყვა პრეზიდენტმა.

გარდაბნის აირ-ტურბინების ამუშავება ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა ჯერჯერობით გაურკვეველი დროით გადადო, თუმცა სიტუაციის გამოსწორებისთანავე ისინი ჩაირთვება და საქართველოს ენერგოსექტორს 110-მეგავატიან თვითდაჯერებულობას შეჰმატებს.

# რიგგარეშე სამხედრო გაწვევა

პირველი გვერდიდან

ვინაიდან კანონში შესწორება არ შესულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ გამორიცხავს ვითარების გამწვავებას. საყურადღებოა რიგგარეშე გაწვევის თარიღი - 30 იანვარი-15 მარტი.

როგორც ცნობილია, თებერვლის პირველ დეკადაში იწურება საქართველოს პარლამენტის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი მშვიდობისდამცველებისათვის მიცემული "გამოსასწორებელი" ვადა. დადგენილებიდან გასული 3 თვის განმავლობაში რუსეთის სამშვიდობო ძალებს მოქმედების ძველი სტილი არ შეუცვლიათ. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება არ აპირებს სიტყვის უკან წაღებას. ხოლო რუსეთმა კი, მისი ელჩის, ვლადიმირ ჩხიკვიშვილის პირით, 23 იანვარს გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება იმ საფრთხის შესახებ, რასაც რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა გამოიწვევს თვითალიარებულ სამხრეთ ოსეთში.

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ულტიმატუმის ვადის ამოწურვის შემდეგ ვითარება კონფლიქტის ზონაში აუცილებლად ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდება. მაგრამ, ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ვარიანტს ანგარიშს უწევს და თადარიგს იჭერს. სწორედ ამას ემსახურებოდა გადაწყვეტილება, გადატანილიყო გორში სამხედრო ჰოსპიტალი, საარტილერიო ბრიგადა და მე-11 ბრიგადის გარკვეული სეგმენტი.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მომენტი, რის გამოც, დამატებით ცოცხალ ძალაზე ანუ რიგგარეშე სამხედრო გაწვევაზე მოთხოვნილების აუცილებლობა გაჩნდა. ეს გახლავთ საზღვარგარეთიდან სამხედრო ტექნიკის ახალი პარტიის შემოყვანა საქართველოში. "ქვეითთა ჯავშანმანქანების სკანდალმა" (ამის შესახებ "24 საათი" გასულ წელს ბევრს წერდა) სამხედრო ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ სათანადო ეკიპაჟების მომზადება წინასწარ არის საჭირო, რათა არასწორმა ექსპლუატაციამ მწყობრიდან არ გამოიყვანოს ხალხის ფულით შეძენილი ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა.

მაგრამ რიგგარეშე სამხედრო გაწვევა ისე გამოცხადდა, რომ არავის უცდია მოსახლეობაში სათანადო განმარტებითი მუშაობის ჩატარება. არადა, გაწვევის კამპანიაზე, წესით, სამხედრო უწყებამ იმაზე მეტი ძალისხმევა მაინც უნდა დახარჯოს, რაც ივლის-აგვისტოში ჯავახეთიდან ბოსტნეულის შესყიდვაზე დაიხარჯა. მით უფრო, რომ ბოლო სამი გაწვევის განმავლობაში აშკარად შეიმჩნევა შემობრუნება სამხედრო საქმისადმი და ამ ტენდენციას ხელშეწყობა სჭირდება.

# უტიფარი დიპლომატები და საქმიანი პუტინი

პირველი გვერდიდან

**შეიქმნა სხვის კმაყოფაზე ცხოვრების, თვალთმაქცობისა და აღვირახსნილობის გარკვეული ნაზავი, რასაც დაუსჯელობის შეგრძნებაც ემატება, დასავლეთში საკუთარი ანტირუსული ხაზის მფარველების გამოძებნის იმედით," "საკუთარი ქვეყნისთვის ნორმალური ცხოვრების მოწყობაში თავისი უძლურების გასამართლებლად გარეშე მტრების ძიებას სიკეთე არასდროს მოუტანია," "ცინიზმი ამ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე ობიექტების აფეთქებას აბრალებენ, ქართველი მოღვაწეების სინდისზე იყოს," "თუ თბილისში რუსეთთან ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭება გადაწყვიტეს, ალბათ, ამგვარი პოლიტიკის ყველა შედეგიც გათვლილი აქვთ,"** – თავისი აღშფოთება რუსეთის საგარეო უწყებამ ამგვარი "შემოქმედებით" გამოხატა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინ, დღის პირველ ნახევარში შეეცადა ამ მწვავე განცხადებაზე რეაგირება არ მოეხდინა. კერძოდ, გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს რუსეთის მასმედიით გავრცელებული განცხადება სინამდვილეში რუსეთის საგარეო უწყებას არ ეკუთვნოდა, რადგან ამის დადასტურება დიპლომატიური არხებით ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რაიმე კომენტარის გაკეთებას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

თუმცა, რუსმა კოლეგებმა უმალვე შეახსენეს ქართველ დიპლომატებს, რომ საგარეო უწყების განცხადება ოფიციალური დოკუმენტია, რომლის გაცნობაც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არის შესაძლებელი. ამის შესახებ რუსულ სააგენტოებს "საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენტურმა წყარომ" განუცხადა.

საბოლოოდ, კომენტარის გაკეთება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მაინც მოუხდა. **"მიუხედავად საქართველოს მთავრობის ყველა დონის წარმომადგენლების მრავალი მცდელობისა, მომხდარის შესახებ რუსული მხარისგან რაიმე განმარტებები მიეღოთ, დივერსიასთან დაკავშირებით რამდენადმე სარწმუნო ინფორმაციის გაგება 15 საათის განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ღვარძლიანი, შეურაცხმყოფელი გამოთქმებით გაჯერებული განცხადება,"** - აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საგარეო უწყებას მიაჩნია, რომ განცხადების ტონი და მასში გამოთქმული დაუფარავი მუქარა იმდენად მიუღებელია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებისთვის, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ განცხადებაში მოყვანილ გამონათქვამებზე კომენტარის გაკეთებასაც კი ზედმეტად მიიჩნევს.

**"ასევე ფრიად დამაფიქრებელია, რომ 22 იანვრის საღამოსთვის რუსი დიპლომატები ყველა დიპლომატიური არხით უარყოფდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების არსებობას, ხოლო 23 იანვარს, 22 იანვრის 16.00 საათით დათარიღებული განცხადება გამოჩნდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-საიტზე. ეს, უბრალოდ, არასერიოზულია,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ვერანაირი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა სახის ზეწოლა ვერ აიძულებს ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას, გადაუხვიოს ქვეყნის აღმშენებლობის გზას - აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიკავოს მისი კუთვნილი, ღირსეული ადგილი მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის რიგებში. ამასთანავე, ამგვარი ძალისმიერი პოლიტიკა არც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს და არც რეგიონის სტაბილურობას კარგს არაფერს მოუტანს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს იტოვებს, რომ რუსეთის მხარე, საქართველოს მიმართ მუქარის გაჟღერების ნაცვლად, ყველაფერს იღონებს, რათა დივერსიული აქტების ორგანიზატორები და შემსრულებლები დაისაჯონ.

**"უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორს კავკასიაში ენერგოობიექტების დაცვის გაძლიერება დავავალე,"** - განაცხადა გუშინ, მთავრობის წევრებთან თათბირზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. მისი თქმით, ანალოგიური შემთხვევა შარშან დაღესტანში მოხდა. **"ნათელია, რომ ესეც განზრახ განხორციელებული აფეთქებაა,"** – განაცხადა პუტინმა. მან აღნიშნა, რომ პროკურატურამ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მიმდინარეობს გამოძიება. ასევე მან "გაზპრომს" და "რაო ეეს"-ს აღდგენითი სამუშაოების ოპერატიულად განხორციელებაზე კონტროლი დაავალა. **"ელექტრომომარაგება რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგეს,"** - გასცა განკარგულება ვლადიმირ პუტინმა.

# შეხვედრა გუდაურში

გუდაურში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს წევრი სახელმწიფოების საელჩოების არაფორმალური შეხვედრა მიმდინარეობს. როგორც თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, სასტუმრო "გუდაურში" გამართული სემინარი თავდაცვის რეფორმის თემას შეეხება. შეხვედრისას განიხილავენ ნატო-ში ინტეგრაციის და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. სემინარში მონაწილეები ასევე 2006 წლის შეიარაღებული ძალების სტრუქტურასა და თავდაცვის დაგეგმვის პროცედურებზეც იმსჯელებენ.

არაფორმალურ შეხვედრას გუდაურში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, მისი მოადგილე მამუკა კუდავა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი ესწრებიან.

მოწვეულ სტუმართა შორის საგარეო საქმეთა და სახელმწიფო მინისტრები, ასევე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები არიან. უცხოელ სტუმართა შორის სემინარს ელჩები და ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ატაშეები ესწრებიან.

**ინტერპრესნიუსი**

# უცნობი თავისუფლება

ცნობი FM 98.0

## გადაცემის სტუმარია თემურ გოჩიტაშვილი

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ჩვენი სტუმარია თემურ გოჩიტაშვილი, ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, იყო თუ არა დივერსია გუშინწინდელი ფაქტი?

**თემურ გოჩიტაშვილი:** ეს რომ საბოტაჟის კლასიკური მაგალითია, ორი აზრი არ არსებობს. არ შეიძლება, საათნახევრის ინტერვალში სამი მძლავრი აფეთქება მოხდეს. ეს იყო დივერსია. თუმცა, რუსეთის მთავრობას ხელაღებით ვერ დავადანაშაულებ, ამისი ფაქტობრივი დადასტურება ძნელია. ვინ გააკეთა ეს, ამას გამოძიება დაადასტურებს, თუკი ობიექტურად წარიმართება. თუმცა, ერთი ცხადია, ეს მოხდა რუსეთის ტერიტორიაზე და რუსეთი პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის.

**ა. ე.:** ნაკლებად მაქვს იმისი იმედი, რომ რუსები დამნაშავეს იპოვიან, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. საქართველოს ხელისუფლება რამდენად ადეკვატური იყო გუშინწინ, კარგად შეძლო კრიზისიდან თავის დაღწევა?

**თ. გ.:** საქართველოს მთავრობას "ფრიადს" თუ არა, კარგ "ოთხიანს" მაინც დავუწერდი. გავიხსენოთ ორი წლის წინანდელი ამბავი, დაახლოებით ანალოგიური ფაქტი მოხდა 2003 წელს. მაშინ 10 დღის განმავლობაში ჩაბნელებული, უგაზოდ დარჩენილი თბილისი კარგად მახსოვს იმიტომ, რომ არ მოხდა გუშინწინდელის ანალოგიური ქმედებები. ვერც კი ვიტყვი, რა ვერ გააკეთა ჩვენმა მთავრობამ. ყველაფერი გაკეთდა, რათა ავარიის შედეგი რბილი ყოფილიყო. ყველაფერი რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. ენერგეტიკის მინისტრი ეწვია აზერბაიჯანს. შეთანხმდნენ, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში აზერბაიჯანი გაზს მოგვაწვდიდა, მაქსიმუმ, 2 მილიონ კუბურ მეტრს. აზერბაიჯანი იმპორტიორი ქვეყანაა, მასაც რუსეთიდან შემოაქვს გაზი, დაახლოებით, 5 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ჩვენზე მეტი. ამდენივეს საკუთარი რესურსებიდან იღებს.

**ა. ე.:** საქართველოს სულ რამდენი კუბური მეტრი გაზი სჭირდება?

**თ. გ.:** 6 მილიონი კუბური მეტრი დასჭირდება დღე-ღამეში მთლიანად, მაგრამ მივიღებთ სამი მილიონს.

**ა. ე.:** რამდენიმე დღის წინ, პრესკონფერენციაზე გიგა ბოკერია, კოტე გაბაშვილი და გივი თარგამაძე ომახიანად ამბობდნენ, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები საქართველოდან უნდა გავიდნენ. მაშინ გულმა რეჩხი მიყო, ვიფიქრე, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი გვითაქებდა. და ასეც მოხდა. ჩვენი ხელისუფლებაც მართლა ოპერატიულად რეაგირებდა, ცოტა კი გადაამლაშეს პრესკონფერენციებით....წარმომიდგენია, ეს რომ შევარდნაძის დროს მომხდარიყო, ალბათ, ხუთი დღე ვიტირებდით და ათი დღე ვიფიქრებდით, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა. რა გახდა ერთი გაზის საცავი? სომხეთსაც ხომ გაუთიშეს გაზი, უკრაინას... რეზერვები დაქოქეს. იყო თუ არა საცავის შექმნის იდეა და რა თანხაა საჭირო ამისთვის?

**თ. გ.:** ყველა იმპორტიორი ქვეყანა ფლობს გაზსაცავს. პოლიტიკურ ვითარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნებისმიერ სიტუაციაში არსებობს იმის ალბათობა, რომ რაიმე ტექნიკური ავარია მოხდეს. ევროგაერთიანების ქვეყნებს ავალდებულებენ კიდეც, რომ გაზსაცავში 60 დღის სამყოფი გაზი ჰქონდეთ. რა თქმა უნდა, ეს გამოიწვევს გაზის გაძვირებას, გაზსაცავიდან ამოღებული გაზი 15-20 დოლარით უფრო ძვირი იქნება. ჯერ კიდევ 1992 წელს, ერთ-ერთმა გერმანულმა კომპანიამ რუსულ კომპანიასთან ერთად მოამზადა წინასაპროექტო მასალები, რომლის მიხედვითაც გაზსაცავის მშენებლობა 70-80 მილიონ დოლარამდე ჯდებოდა. მაშინ ეს პროექტი რატომ არ განხორციელდა, ვერ გეტყვით. ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა ახლახან, 2003 წელს, "ტასისის" პროექტის ფარგლებში მომზადდა წინასაპროექტო მასალები, რომლის თანახმადაც გაზსაცავის მშენებლობა 93 მილიონი ევრო ჯდებოდა. ამერიკის სავაჭრო პალატამ წინასაპროექტო სამუშაოები დააფინანსა. საცავის აშენებას ნინოწმინდის საბადოზე გულისხმობს. აქ სამარაგო გაზი არსებობს, ამიტომ აქ საცავის მშენებლობა უფრო იაფი, 42 მილიონ დოლარამდე ჯდება.

**ა. ე.:** ხელისუფლება რას ამბობს?

**თ. გ.:** ხელისუფლებას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. თუმცა, გუშინწინდელი შემთხვევა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია.

# თბილისი ბუნებრივ აირს, სავარაუდოდ, დღეს მიიღებს

პირველი გვერდიდან

გუშინ დილიდან რეგიონების ელექტრომომარაგება დეფიციტის პირობებში ხორციელდებოდა. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ინფორმაციით, გუშინ ენერგოდეფიციტი 80 მეგავატს აღწევდა. ენერგოკომპანია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონის" დაზიანებით გამოწვეული დეფიციტის შევსებას 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტით ცდილობს. ასევე, პიკის საათებში ელექტროგადამცემი ხაზის "დარიალის" მეშვეობით ენერგოკომპანიას 20 მეგავატი, ხოლო "სალხინოს" მეშვეობით 80 მეგავატი მიეწოდება.

80-მეგავატიანი ენერგოდეფიციტია აჭარაში. თურქეთში მომხდარი ავარიის გამო გუშინ დილიდან აჭარაში დენის იმპორტი შეწყდა. შეზღუდვებია კახეთის ელექტრომომარაგებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვის წინ მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გაზის დასატუმბი სადგურები აკრძალა, მერია დედაქალაქში თხევადი გაზის დამატებითი მონობლოკების დამონტაჟებას იწყებს. **"თბილისში დამატებითი გაზის სადგურების დამონტაჟების აუცილებლობა ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე დადგა. ამჟამად მოქმედი მონობლოკები თხევად გაზზე მოსახლეობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სადგურებში უსაფრთხოების ზომების დაცვას ჩვენი სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოფენ,"** - განაცხადა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა მაქაცარიამ.

საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაცია შესაძლოა, 2 დღეში მოხერხდეს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს, რუსული მხარის ინფორმაციაზე დაყრდნობით, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან" აცნობეს. მათივე ინფორმაციით, რუსულმა მხარემ დაზიანებული გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები საგანგებო რეჟიმში დაიწყო. **"რუსეთის მიერ ტელეფონის საშუალებით მიღებული ინფორმაციის შესამოწმებლად რუსეთში "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" ყაზბეგის ფილიალის ხელმძღვანელი ონისე მარსაგიშვილი გაემგზავრა, რომელიც რუსეთის მხარის მიერ წარმოებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნობა,"** - აცხადებენ კორპორაციაში.

რაც შეეხება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს, ის ირანიდან აზერბაიჯანში გაემგზავრა.

ქვეყნის ენერგომომარაგებაში შექმნილი კრიზისის მიუხედავად, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა 110 მეგავატი სიმძლავრის აირ-ტურბინები საზეიმო ვითარებაში გახსნა. პროექტი ერთობლივად კომპანია "ენერჯი ინვესტმა", "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" და "ვნეშტორგბანკმა" განახორციელეს. პროექტში განხორციელებულმა ინვესტიციამ 60 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ქართველი ენერგეტიკოსების განცხადებით, გარდა იმისა, რომ პროექტი ქართულ ენერგოსექტორს 110 მეგავატ ენერგიას შეჰმატებს, ის დამატებითი მძლავრი ფაქტორი გახდება ენერგოსექტორის სიმტკიცის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# "მეამბოხე მოსამართლეები" პარლამენტარ ნინო კალანდაძის აცილებას მოითხოვენ

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ე.წ. "მეამბოხე მოსამართლეების" საჩივრის განხილვა დაიწყო. როგორც საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, მოსამართლეები ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, თამარ ლალიაშვილი, მურმან ისაევი იუსტიციის საბჭოს კოლეგიის ერთ-ერთი წევრის, პარლამენტარ ნინო კალანდაძის აცილებას მოითხოვენ, რადგან მას კანონით იუსტიციის საბჭოს წევრობის უფლება არ გააჩნია.

"კანონით, იუსტიციის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს 25 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც იურისტად მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი გააჩნია. კალანდაძეს საბჭოს წევრად დანიშვნამდე მუშაობის 2 წლისა და ექვსი თვის გამოცდილება ჰქონდა. აღნიშნული კი მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ იუსტიციიის საბჭოს მიერ მიღებული 2005 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველია," - განმარტავენ მოსამართლეები.

როგორც ნინო გვენეტაძემ აღნიშნა, საბჭოს წევრთა არაკვალიფიციურობის საკითხი მათ თბილისის საქალაქო სასამართლოშიც გაასაჩივრეს და დაუყოვნებელი აღსრულებისათვის მოსამართლეთა კონფერენციის 2005 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების შეჩერება მოითხოვეს, რომლითაც ნინო კალანდაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრად აირჩიეს.

საქალაქო სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე გადაწყვეტილებას 25 იანვრამდე მიიღებს.

"არსებული საკითხების საბოლოოდ გარკვევამდე, საქმის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განხილვას არანაირი აზრი არ ექნება, მით უფრო, რომ მოსამართლეთა დევნა პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარეობს და ისინი ხელისუფლების დაკვეთების შეუსრულებლობისთვის "სამაგალითოდ" დასაჯეს, - აცხადებს გვენეტაძე.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ცნობით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გუშინდელი სხდომა არასამუშაო პერიოდში – 19.00 საათზე იმიტომ დანიშნეს, რომ მოსამართლეთა საკითხის განხილვა კვლავ "არაადამიანურ" პირობებში მოხდეს.

*24 საათი*

# ახალი პასპორტების გაცემა დაიწყო

საქართველოს მოქალაქეებისთვის ახალი პასპორტების გაცემა გუშინ დაიწყო. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის საბურთალოს ოფისში პირველი ახალი პასპორტი 26 წლის ნესტან საბაძეს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ ყვავილების თაიგულთან ერთად გადასცა. ახალი ფორმატით დაბეჭდილი პირველი პასპორტის ნომერია 0000001.

**"ახალი პასპორტის ფურცლებს ამშვენებს საქართველოს ხედები, ქართული ჩუქურთმები, ისტორიული ძეგლები, საქართველოს გერბი, დროშა და რუკა. ასე რომ, ის არა მარტო პასპორტი, საქართველოს მოქალაქის სავიზიტო ბარათიცაა",** - განაცხადა გია ქავთარაძემ, მისივე თქმით, **"ახალი პასპორტის დაცვის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მისი გაყალბება, პრაქტიკულად, შეუძლებელია."**

ფრანგული კომპანია "იმპრემიერე ნაციონალეს" მიერ დაბეჭდილი ახალი პასპორტების შემოღებისას შესაძლო ტექნიკური პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მათი გაცემა ეტაპობრივად მოხდება - სამოქალაქო რეესტრის თბილისის ოფისებში ეს პროცესი 30 იანვრამდე, ხოლო საქართველოს ყველა რეგიონულ სამსახურში 10 თებერვლამდე დაიწყება.



*ახალი პასპორტის პირველ მფლობელს დოკუმენტი იუსტიციის მინისტრმა გადასცა.*

იუსტიციის მინისტრის მოადგილის კონსტანტინე ვარძელაშვილის ინფორმაციით, პასპორტის მისაღებად დაწესებული სახელმწიფო ბაჟი - 35 ლარი უცვლელი რჩება, ხოლო პირადობის მოწმობა კვლავაც უფასო იქნება. პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩვეულებრივი წესით მიღება მოქალაქეს საბუთების ჩაბარებიდან მეათე დღეს შეეძლება. თუმცა, 2006 წლის 3 თებერვლიდან სამოქალაქო რეესტრის ოფისებში ახალი მომსახურება დაინერგება - გარკვეული საფასურის გადახდის შემთხვევაში, მოქალაქეს პასპორტის მიღება დაჩქარებულ ვადაში შეეძლება.

ახალი ტიპის პასპორტი სამი კატეგორიისა იქნება: წითელი ფერის - ორდინალური, შავი ფერის - სამსახურებრივი და ლურჯი - დიპლომატიური პასპორტი.

*24 საათი*

# არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ევროსაბჭოს სპეციალური ჯგუფის გამოგზავნას სთხოვს

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის" ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს. კოალიცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფს სპეციალურ მიმართვას უგზავნის.

მიმართვას ხელს 35 ორგანიზაციის წევრები აწერენ, მათ შორის არიან არასამთავრობო ორგანიზაციები - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "საქართველოს მედია-კლუბი", "საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგა", "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი", "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია" და სხვა.

როგორც ადამიანის უფლებების დამცველები განმარტავენ, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები აშკარა საფრთხეს უქმნის საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივას. მიმართვაში ყურადღებაა გამახვილებული მოქალაქეთა დაპატიმრებების დროს ადამიანთა უფლებების დარღვევაზე, მოსამართლეებზე, მედიასაშუალებებზე განხორციელებულ ზეწოლაზე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში შექმნილ ვითარებაზე, საბიუჯეტო პროცესების გაუმჭვირვალობაზე და სხვა საკითხებზე.

"ჩვენ მოგმართავთ ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაც მის წევრ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობაა. გაცნობიერებული გვაქვს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების თანადგომა, როგორიც ევროსაბჭოა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ჩვენი ქვეყნისათვის რეალურ დახმარებად, არა აქ არსებულ სერიოზულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა, არამედ მათზე ღიად და ადეკვატურად რეაგირება მიგვაჩნია", - ნათქვამია მიმართვაში.

"სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქარველოსთვის" ევროპის საბჭოს გენერალურ ასამბლეას საქართველოში მიმდინარე პროცესების საფუძვლიანად შესასწავლად სპეციალური ჯგუფის გამოგზავნას სთხოვს.

*ინტერპრესნიუსი*

# უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული ტერაქტების ნუსხა

პირველი გვერდიდან

**2004 წლის 9 ოქტომბერი.** კასპის რაიონი, სოფელი შავშვები, ააფეთქეს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები "ქართლი"-2 და "ლიახვი" .

**2004 წლის 10 ოქტომბერი.** საჩხერის რაიონი, სოფელი ჯვარი, ააფეთქეს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "ქართლი"-2.

**2004 წლის 11 ოქტომბერი.** კასპის რაიონი, ააფეთქეს გრაკალი-მეტეხის გადასარბენზე სარკინიგზო ლიანდაგი.

**2004 წლის 17 ნოემბერი.** ხაშურის რაიონი, სოფელი ჩორჩანა, ააფეთქეს ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგური.

ჩამოთვლილი დივერსიულ-ტერორისტული აქტები საქართველოს შსს-მ გორის ტერაქტთან ერთად გახსნა, ტერაქტების მოწყობაში ეჭვმიტანილთა დიდი ნაწილიც გამოავლინა, ორგანიზატორის ვინაობაც დადგინა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებში რუსული კვალის მონაწილეობაც დაადასტურა. ამის შესახებ სპეციალურად გამართულ ბრიფინგებზეც გაკეთდა განცხადებები.

შსს-ს ინფორმაციით, საქართველოში მომხდარი დივერსიულ-ტერორისტული აქტების ორგანიზატორი რუსეთის თავდაცვის სამინიტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანი ანატოლი ივანეს ძე სისოევია, დპს-ს პოლკოვნიკი, რომელიც რუსეთმა 2004 წლის ივნისში ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინა. რუსეთის სპეცსამსახურის კადრის ჩინიანმა ოფიცერმა საქართველოში რამდენიმე ტერორისტულ-დივერსიული აქტი დაგეგმა და სამხედრო წვრთნას უტარებდა სპეცჯგუფებს, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ. მასზე ქართველ სამართალდამცველებს ძებნა აქვთ გამოცხადებული.

საქართველოში დივერსიული აქტების დაგეგმვაში ეჭვმიტანილი 11 პირის, მათ შორის ანატოლი სისოევის შესახებ ქართველ სამართალდამცველებს მოეპოვებათ ინფორმაცია, რომ გორის ტერაქტის გახსნის შემდეგ სისოევი და მისი ჯგუფის წევრები ცხინვალიდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდნენ, სავარაუდოდ, ვლადიკავკაზში.

*24 საათი*

# იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია გერმანიაში მიემგზავრება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიწვევით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის ხელმძღვანელობით დღეს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება. ქართულ დელეგაციაში შედიან მინისტრის პირველი მოადგილე კონსტანტინე კორკელია, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი რუსუდან ტუშური და პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თამარ მჭედლიშვილი. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრ ბრიგიტე ციპრისთან, გენერალურ პროკურორ რალფ როტჰერთან, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებში გერმანული ფონდის ხელმძღვანელ მატიას ვეკერლინგთან. ამასთან, დაგეგმილია შეხვედრები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სასამართლო პალატაში და სხვა სახელმწიფო უწყებებში. ვიზიტი 28 იანვარს დასრულდება.

*მედიანიუსი*

# ღვინის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ კანონი მკაცრდება

ღვინის ფალსიფიკაციისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება. გუშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა დეპუტატ მურმან ქორიძის მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტი პირველად მოისმინა. პროექტი ითვალისწინებს, ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსში და ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში. ცვლილებების მიხედვით, ღვინის ფალსიფიკაცია თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე დაისჯება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება არაერთგზის არის ჩადენილი, სასჯელი 3-დან 5 წლამდე გამკაცრდება, ხოლო თუ ისეთი ქმედებით ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, მაშინ ფალსიფიკატორი 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. ცვლილებები შედის ვაზისა და ღვინის შესახებ კანონშიც, ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით სამტრესტის ცვლილებების შესაბამისად გამოიკვეთება სამტრესტის ფუნქციები, დაკონკრეტდება ფალსიფიკაციის აღიარების პარამეტრები, ასევე კანონში ცვლილებები საქართველოს საშუალებას მისცემს სხვა ქვეყნებში მოითხოვოს ქართული დასახელების ღვინის წარმოების აკრძალვა. ხოლო საბითუმო და საცალო ბაზრებზე ყურძნის პროდუქციის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით, ცვლილებები ხარისხის ინპექციის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვაში კომიტეტთან არსებული მეცნიერთა საკონსულტაციო საბჭოს წევრებიც მონაწილეობდნენ. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ედუარდ სურმანიძემ აღნიშნა, არც ერთ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც კომიტეტში განიხილება, კომიტეტი პოზიციას არ ჩამოაყალიბებს, თუ არ იქნება აღნიშნული სამეცნიერო საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნა. საკონსულტაციო საბჭოს ვაზისა და ღვინის შესახებ კანონპროექტზე საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად ერთკვირიანი ვადა მიეცა. ცვლილებების პროექტის ძირითად განხილვას კომიტეტი ერთი კვირის შემდეგ გეგმავს, მას შემდეგ, რაც ცვლილებებთან დაკავშირებით საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა მომზადდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ქართულ-აფხაზური შეხვედრა დღეს შედგება

გალში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური მაღალი დონის შეხვედრა 24 იანვრისთვის გადაიდო. შეხვედრა 21 იანვრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ უამინდობის გამო გადაიდო. სახელმწიფო მინისტრის თქმით, შეხვედრის გადადების საკითხი აფხაზურ მხარესთან შეთანხმებულია.

გაეროს ეგიდით დანიშნულ შეხვედრაში, საქართველოს მხარეს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში, გოგა ხაინდრავა, ხოლო აფხაზურ დელეგაციას დე-ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი შამბა წარმოადგენენ. გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს გაერო გენერალური მდივნის ოფიციალური წარმომადგენელი, ჰაიდი ტალიავინი. გალში უნდა განხილულიყო კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობა, დაძაბული კრიმინოგენური ვითარება, გაეროს ეგიდით ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის ამოქმედება და დევნილთა დაბრუნება. შეხვედრაზე მხარეები განიხილავენ ასევე, ქართული მხარის მიერ უსაფრთხოების გარანტიების ჩასწორებულ ვარიანტს, ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას. არ არის გამორიცხული, რომ მხარეებმა საქართველოში შექმნილ ენერგოვაკუუმზეც ისაუბრონ.

"აუცილებელია მხარეებმა პოზიციები შეათანხმონ ჟენევის შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც 3-4 თებერვლისთვის არის დაგეგმილი", - აცხადებს გიორგი ხაინდრავა.

ცნობისთვის, ამ შეხვედრის გამო, 19-20 იანვარს დაგეგმილი, ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა არ შედგა.

*24 საათი*

**ფონდი ღია საზოგადოება საქართველო**

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და **ESM** თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **CV** (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**

ESM ctc

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**........................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................
**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 იურიდიული ოფისი "გაპის" [illegible]

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] წერეთლის გამზ. 72. იურიდიული ოფისი "გაპი".

# სასარგებლო ნაგავი



რეალობა.



პროექტი.

ადამიანის ყველა სახის საქმიანობა ტოვებს ნარჩენებს და ნაგავს: მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობა ტოვებს მნიშვნელოვანი რაოდენობით ტოქსიკურ ნარჩენებს. მავნე ნარჩენები სხვადასხვა სახისაა. ქიმიური მრეწველობა, ლითონების გადამუშავება და ავეჯის დამზადება იმ პროცესების მაგალითებად გამოდგება, რომელთა შემდეგ რჩება განსაკუთრებით მავნე ნარჩენები. ყველა სახის მავნე ნარჩენი, მაგალითად ცხოველების, რადიოაქტიური, სამედიცინო და სამრეწველო, რომლებიც პროცესების ფართო სპექტრს უკავშირდება, მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული და გაკონტროლებული.

დღეს თბილისსა და მთელ საქართველოში არსებული მუნიციპალური კომპანიები იყენებენ ნარჩენების შეგროვების სამ მეთოდს: ნაგვის ბუნკერები მრავალბინიან შენობებში, რაც არ არის უსაფრთხო, იცლება სატვირთო მანქანებში; კომერციულ და დასახლებულ ფართებზე დადგმული კონტეინერები, რომლებიც იცლება ასევე სატვირთო მანქანებში და "ზარის სისტემა", ანუ როცა სატვირთო მანქანა მოდის დადგენილი გრაფიკით და მოსახლეობა ან ბიზნესით დაკავებული მოქალაქეები ზარის გაგონებაზე მიდიან და ცლიან ნაგავს მანქანაში. ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებ ეფექტიანია. ის იწვევს ქუჩაში ნაგვის დაგროვებას და არალეგალური ნაგავსაყრელების შექმნას. სატვირთო მანქანების უკმარისობის შედეგად ქუჩა ივსება ნაგვით. შეუძლებელი ხდება ნაგავსაყრელის სანიტარიული დამუშავება, ტოქსიკური ნარჩენები ჩაედინება მიწისქვეშა წყლებში. ნაგავის მიწაში ჩამარხვა იწვევს მის ლპობა-გაჟონვას.

საერთაშორისო კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე საერთაშორისო კომპანიას და მოქმედებს ნარჩენების გატანის და გადამუშავების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის "Alon Group" და "MG Groupe Business Development" სახელით, მზად არის, გადაჭრას ნარჩენების პრობლემა საქართველოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვა რეგიონებში.

კონსორციუმი გვთავაზობს ინვესტიციებს ამ პრობლემის გადასაჭრელად. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ კონსორციუმი საქართველოს სთავაზობს "ალონ გრუპის" დახმარებას, რომელიც ამ სფეროში საუკეთესო კომპანიად ითვლება. კონსორციუმი დარწმუნებულია, რომ მისი ინვესტიციებისა და გამოცდილების დახმარებით და საქართველოს მთავრობის მზადყოფნითა და მხარდაჭერით ამ პროექტისადმი, საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება. "ალონ გრუპი" უკვე 30 წელზე მეტია, რაც ქმნის ნარჩენების მოვლის სისტემებს, ანვითარებს და ნერგავს განმწმენდ ნაგებობებს, ნარჩენების გადასატან საშუალებებს, ნაგავსაყრელების კონსტრუქციებსა და ნარჩენების გადამამუშავებელ ფაბრიკებს. გვესაუბრება კონსორციუმის წარმომადგენელი ქალბატონი ცაფირი:

"ალონ გრუპი" აპირებს თბილისსა და საქართველოში არსებული ნაგვის შეგროვების სისტემის განახლებას და გაუმჯობესებას ევრო სტანდარტების მიხედვით. თბილისელებს და მთელ საქართველოს მოსახლეობას ექნება უკეთესი ნაგვის შეგროვების სისტემა, ვიდრე დღეს აქვთ. კონსორციუმი ამისთვის სახავს გარკვეულ მიზნებს, სათანადო პროგრამას, ინვესტიციებს და გეგმავს მოქმედებებს შემდეგი თანმიმდევრობით:

■ სათანადო დონის მომსახურების უზრუნველყოფა, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ მოთხოვნებს.

■ ნარჩენების შეგროვების სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა გადამუშავების და გატანის სისტემებთან.

■ მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კონსორციუმის მუშაობა უზრუნველყოფს არამავნე საოჯახო, სამრეწველო და წიაღისეულის გადამუშავების ნარჩენების მოვლას, ის ხელს შეუწყობს მყარი ნარჩენების მოვლის კომბინირებული მეთოდების გამოყენებას. ეს მეთოდებია: წარმომშობი წყაროს შემცირება ან ნარჩენების თავიდან აცილება, რაც ნიშნავს ნებისმიერ საქმიანობას, რომლის შედეგადაც მივიღებთ ნაკლებად ტოქსიკურ ნარჩენებს; ნარჩენების გადამუშავება, რომელიც ამცირებს ნაგვის გასატანად საჭირო სიმძლავრეების რაოდენობას და იცავს ბუნებრივ რესურსებს გადაყრილი ნარჩენების სასარგებლო ნივთიერებად გარდაქმნის გზით; ნაგავსაყრელების მოწყობა.

საერთაშორისო კონსორციუმი "ალონ გრუპთან" და "მჯ გრუპთან" ერთად, ნარჩენების გადამუშავების მენეჯმენტში მათი გამოცდილების გათვალისწინებით, აპირებს პროექტის განხორციელებას თბილისში და სრულიად საქართველოში, რათა მიაღწიონ ნარჩენების შეგროვების მენეჯმენტის მაღალ ეფექტურობას, რომელიც მოიცავს: შეგროვების სისტემას, ნაგავსაყრელებს, გადამამუშავებელ ტექნოლოგიას, რათა შედეგად მივიღოთ გაუმჯობესებული მომსახურება და ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო. რაც მიიღწევა:

■ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ავტომატიზებული შეგროვების მანქანების გამოყენებით.

■ შეგროვების ეფექტიანი სიხშირის დადგენით.

■ სამუშაო ადგილების შექმნით.

■ მომსახურე პერსონალის შრომისნაყოფიერებისა და მოტივაციის გაზრდით.

■ მომავალში ნარჩენების გატანის პრობლემების შექმნის პრევენციული ზომებით.

■ ნარჩენების შემცირების შედეგად, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებით.

თანამედროვე ნაგავსაყრელები საინჟინრო ნაგებობებს წარმოადგენს, რომელთა განლაგება, დიზაინი, მუშაობა და მონიტორინგი შეესაბამება ევრო სტანდარტებს. მყარი ნარჩენების საყრელების დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, რომელიც შეიძლება მოყვეს ნარჩენების გაზების გაჟონვას ნიადაგში. ნაგავსაყრელის დაპროექტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემო პირობები ისევე, როგორც ადგილზე გარემოს მონიტორინგის სისტემები, რომლებიც აკონტროლებენ ნიადაგის წყლის დაბინძურებას და ნაგავსაყრელის გაზების წარმოქმნას, რის წინააღმდეგაც საჭიროა დამცავი ნაგებობები. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბევრი თანამედროვე ნაგავსაყრელი პოტენციურად მავნე გაზს აგროვებს და მას ენერგიად გარდაქმნის. სასურველია თბილისსა და მთელ საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების დაკონსერვება. ისინი უკიდურესად მავნეა გარემოსთვის და მოსახლეობისთვის, რადგან აქ არ წარმოებს მეთანის გაზის შეგროვება. მუნიციპალური ნარჩენების საყრელები მეთანის გამოყოფის უდიდესი წყაროა.

მეთანის გამოყოფა ნაგავსაყრელიდან, თუ ის არ იქნება გარდაქმნილი და გამოყენებული, ძალიან სახიფათოა ბუნებისა და ადამიანისათვის. ნაგავსაყრელის გაზი წარმოიქმნება ნარჩენების ხრწნის შედეგად. ის შედგება 50 პროცენტით მეთანისაგან, რომელიც ბუნებრივი გაზის ძირითადი კომპონენტია ($CH_4$) და 50 პროცენტით ნახშიროჟანგისაგან ($CO_2$), გარდა ამისა, მცირე რაოდენობით არამეთანური წარმოშობის ორგანული ნაერთებისაგან.

ისეთი ნაგავსაყრელის ასაგებად, სადაც მავნე მეთანი გარდაიქმნება სასარგებლო ენერგიის წყაროდ, საჭიროა ინვესტიციები. ზემოთ ნახსენები საერთაშორისო კონსორციუმი მზადაა ამ თანხების დასაბანდებლად საქართველოში, რათა აიგოს სათანადო ნაგავსაყრელი თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში, ევროსტანდარტების მიხედვით, ხოლო არსებული საშიში ნაგავსაყრელები დაკონსერვდეს.

ახალი ტიპის ნაგავსაყრელი მეთანს ჰაერში არ გამოყოფს, ის მას გარდაქმნის ენერგიის წყაროდ. მეთანის ასეთი გამოყენება ამცირებს მრავალ მავნე მოვლენებს, არ აძლევს მეთანს ატმოსფეროში გაბნევის საშუალებას, ის აღარ შეერევა ადგილობრივ გარემოს და აღარ გამოიწვევს კლიმატის ცვლილებებს.

ნაგავსაყრელის გაზი (მეთანი), რომელიც მიიღება სხვადასხვა სისტემების საშუალებით (ჭები, დაბერვა, ვაკუუმი და სხვა.), მიემართება ცენტრალურ პუნქტში, სადაც ხდება მისი გადამუშავება და გამოყენება. ამ პუნქტიდან შეიძლება გაზი, უბრალოდ, გამოვიყენოთ ცეცხლისთვის, გარდავქმნათ ელექტროობად ან ჩავანაცვლოთ საწვავი ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო ობიექტებში, გამოვიყენოთ სათბურებში ან გავწმინდოთ და მივიყვანოთ გაზსადენში არსებული გაზის ხარისხამდე. საოჯახო პროდუქტების ნარჩენები, რომლებიც შეიცავს კოროზიულ, ტოქსიკურ აალებად ან რეაქტიულ კომპონენტებს, ასევე მიჩნეულია მავნე ნარჩენებად. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილეა საჭირო ისეთ პროდუქტებთან, როგორიცაა საღებავები, საწმენდი და სარეცხი ნივთიერებები, ბატარეები და პესტიციდები.

საოჯახო მავნე ნარჩენების არასწორი გატანის - როგორიც არის მათი ჩასხმა არხებში, დაყრა მიწაზე, საკანალიზაციო მილებში ჩაყრა ან ქუჩებში დაყრა ქუჩის ნაგავთან ერთად - მავნე შედეგები დაუყოვნებლივ არ ჩანს, მაგრამ იწვევს გარემოს დაბინძურებას და საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

გადამუშავება ნიშნავს მოსახლეობის სასიკეთოდ ნაგვის და მისი ტოქსიკურობის რაოდენობის შემცირებას. ხელახლა გადამუშავების დროს მასალები, რომლებიც შეიძლებოდა გამხდარიყო ნარჩენი, გადაიქცევა მნიშვნელოვან რესურსად. ამის შედეგად ვიღებთ სუფთა გარემო პირობებს, ფინანსურ და სოციალურ მოგებას. მასალები, როგორიცაა მინა, ლითონი, პლასტიკატი და ქაღალდი, უნდა შეგროვდეს, დახარისხდეს და გაიგზავნოს გადამამუშავებელ ფაბრიკებში, სადაც მათგან მიიღებენ ახალ მასალებს ან პროდუქტებს.

"ალონ გრუპს" აქვს დიდი გამოცდილება და კარგად იცის ნარჩენების დახარისხების და ხელახლა გადამუშავების მნიშვნელობა. იგი მზად არის, განახორციელოს პროექტი, რომლის შედეგი იქნება:

■ მავნე გაზების გამოყოფის და წყლის დაბინძურების თავიდან აცილება.

■ ენერგიის დაგროვება.

■ მრეწველობისთვის ძვირფასი ნედლეულის მიწოდება.

■ მოსახლეობის დასაქმება.

■ გარემოს გამწვანების ტექნოლოგიების განვითარება.

■ ბუნებრივი რესურსების შენახვა ჩვენი შვილებისათვის.

■ ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

კომპოსტის წარმოქმნა წარმოადგენს ხელახლა გადამუშავების ერთ-ერთ ფორმას. ეს არის ისეთი პროცესი, როცა ორგანული ნივთიერება კონტროლირებად ბიოლოგიურ დაშლას განიცდის, მაგალითად საკვების, მცენარეების და ცხოველური ნარჩენების გარდაქმნა ნეშომპალად. კომპოსტის წარმოქმნა არის ორგანული წარმოშობის ნარჩენების ბუნებრივი ხელახლა გადამუშავება ნიადაგის ახალ ფენად, რომელიც გამოიყენება ბოსტნებში, ყვავილნარებში, გაშლილ ადგილებზე და სხვაგან. ხელახლა გადამუშავების ამ ფორმის გამოყენებით "ალონ გრუპი" შეძლებს:

■ გამოაცალკევოს ორგანული ნარჩენები ნაგავსაყრელებიდან.

■ დაამზადოს სასუქები ნიადაგისთვის.

■ გაზარდოს ნიადაგისთვის სასარგებლო ნივთიერებების რაოდენობა.

■ ხელი შეუწყოს მცენარეების ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას.

■ შეამციროს მოთხოვნა ქიმიურ სასუქებზე და პესტიციდებზე.

■ დაიცვას ნიადაგები ეროზიისგან.

■ ხელი შეუწყოს გარემოს დაბინძურებისაგან დაცვას.

საერთაშორისო კონსორციუმი, "ალონ გრუპის" და "მჯ გრუპის"გამოცდილების მეშვეობით, მზად არის, დააბანდოს თავისი კაპიტალი და ტექნოლოგიები თბილისში და საქართველოში. თუმცა, ეს ხაზს უსვამს მხარდაჭერის აუცილებლობას მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან. კონსორციუმი აპირებს, ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოს დაცვის განვითარებას, რაც გამოიხატება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სისტემის შექმნაში, ხელახალი გადამუშავებისა და მეთანის გაზის გარდაქმნის სისტემების ჩათვლით, რისთვისაც აშენდება თანამედროვე უსაფრთხო ნაგავსაყრელები. ზემოთ ნახსენები საერთაშორისო კონსორციუმის მთავარი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის და ეკოლოგიის დაცვა მავნე ან არამავნე ნარჩენების ზეგავლენისაგან.

# უნდა ვჭამოთ თუ არა ქათამი?

*ამ შინაარსის კითხვა დღეს ყველაზე ხშირად ისმის. შესაძლოა ამ კითხვით ბევრი თქვენგანიც დაინტერესებულა. ეს ბუნებრივიც არის. ბოლო რამდენიმე კვირაა მსოფლიოში და განსაკუთრებით, მეზობელ თურქეთში გავრცელებული ფრინველის გრიპის ვირუსის გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პანიკამ მოიცვა, თუმცა როგორც კომპეტენტური ადამიანები ამტკიცებენ, დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი აჟიოტაჟი ყოველგვარ რეალურ საფუძველს არის მოკლებული. მეტიც, ექსპერტები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ ფრინველის ხორცის საკვებად მოხმარება შეგვიძლია მშვიდად განვაგრძოთ.*

*ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად დღეს ჩვენ გვესაუბრება შოთა ცანავა - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსის მოადგილე.*

**- რამდენად საფუძვლიანია ფრინველის ვირუსთან დაკავშირებული ის პანიკა, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი?**

- დღეს საქართველოში ფრინველის ვირუსის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არარეალურია და რაც მთავარია, არ არსებობს ამის ობიექტური წინაპირობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვირუსი ძალიან არამდგრადია და მისით შესაძლო დაინფიცირების წყარო საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. მეტიც, მსოფლიოში ჯერჯერობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფრინველის ვირუსი პროდუქტის საკვებად მიღების შემდეგ გავრცელებულიყოს. ჩვენ უმ ხორცს ხომ არ მივირთმევთ? შესაბამისად საშიში და საგანგაშო აქ არაფერია. რომც იყოს ფრინველი გრიპის ვირუსით დაავადებული, ხორცის თერმულად დამუშვების (მოხარშვის, შეწვის) შემდეგ ეს ვირუსი კვდება, შესაბამისად ასეთი ხორცის საკვებად მიღებაც არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

**- რა შემთხვევაში შეიძლება დაინფიცირდეს ადამიანი ფრინველის გრიპის ვირუსით?**

- გრიპის ვირუსით დაინფიცირების საშიშროება თითოეულ ჩვენგანს დაავადებულ ფრინველთან კონტაქტის შემდეგ უფრო გვემუქრება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ჯერ არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როცა ფრინველის ხორცის საკვებად მოხმარების შემდეგ მომხდარიყოს ვირუსით ადამიანის დაინფიცირება.

საქართველოში დღემდე ფრინველის ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და იმედი გვაქვს, რომ ამ ეტაპზე თუ ადგილი არ ექნება ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადასვლას, თუ ადგილი არ ექნება პანდემიას და ა.შ. საქართველოშიც შედარებით უსაფრთხო სიტუაცია იქნება.

**- ე.ი. ფრინველის ხორცი შეგვიძლია საკვებად უშიშრად მოვიხმაროთ...**

- ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეს ქვეყანაში ფრინველის ხორცის რეალიზაცია მნიშვნელოვნად დაეცა. როგორც უკვე გითხარით, ფრინველის, მათ შორის ქათმის ხორცის საკვებად მიღება, სათანადოდ დამუშავების შემდეგ სრულიად უვნებელია. მინდა მკითხველებს ხაზგასმით განვუმარტო, რომ ვირუსი ამ გზით არ გადადის. როგორც ჩანს, ჩვენს მოსახლეობას ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელების შესახებ არასწორი და არაობიექტური ინფორმაცია აქვს მიწოდებული.

კიდევ ერთი - დაავადებულ ფრინველზე შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესამჩნევია ვირუსის ნიშნები. განსაკუთრებული ნიშანი კი ფრინველის ხორცის არაბუნებრივი ფერია - მოლურჯო-მოშავო.

**- შეიძლება თუ არა იგივეს დარწმუნებით თქმა იმპორტირებულ პროდუქტთან მიმართებაში?**

- ვირუსით დაინფიცირების საშიშროება ყველაზე ნაკლებად იმპორტირებული ხორცის შემთხვევაში გვემუქრება. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, დღეს მაქსიმალურად არის გამკაცრებული შესაბამისი სამსახურების მხრიდან კონტროლი და აკრძალულია იმ ქვეყნებიდან ფრინველის ხორცის შემოტანა, სადაც გრიპის ვირუსის თუნდაც ერთი შემთხვევა მაინც დაფიქსირდა. იმ ქვეყნების მიერ წარმოებული და შესაბამისად შემდეგ საქართველოში იმპორტირებული ფრინველის ხორცი, სადაც ვირუსის შემთხვევა დღემდე არ დარეგისტრირებულა, სრულიად უსაფრთხო და საიმედოა. ასეთ სახელმწიფოებს შორის არის ბრაზილია, რომელიც, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, დღეს გრიპის ვირუსის გავრცელების ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ იმყოფება. ასე რომ, თამამად შეგვიძლია მივირთვათ ქათმის, იხვისა თუ სხვა ფრინველის ხორცი. მისი საკვებად მოხმარება დღეს არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

P.S. 25 იანვრის ნომერში შემოგთავაზებთ საუბარს თბილისის ვეტერინარული ინსპექციის უფროსის მოადგილე ლალი ვაშაკიძესთან.

*ესაუბრა მარიამ ჯაჭვაძე*



## დავით კოვზირიძის სვეტი

## მკითხაობა კალათებით

მოდი ვიმკითხაოთ. 27-ში შვეიცარიაში გაირკვევა ის, თუ ვინ გადაეღობება საქართველოს ნაკრებს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისკენ მიმავალ აღმართზე. აღმართი რომ მურტალი იქნება, ყველამ გადასარევად ვიცით, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ჩვენს ექსპედიციას ძალიან გამოცდილი და საფეხბურთო აღმართ-დაღმართებზე ნამოგზაურები გერმანელი კაცი უდგას სათავეში, ზურგს კი ოპტიმიზმი, მხარდაჭერა და აქამდე დეფიციტური საქმიანი ხალხი უმაგრებს.

ავსტრია-შვეიცარიის ვიზაზე მოჩალიჩენი შვიდ სხვადასხვა ხარისხის კალათში არიან გადანაწილებულნი და ჩვენ, წარსული საზიზღრობების გამოისობით, მეექვსეში ვართ. ანუ - აპრიორი ვართ განწირულები ხუთ უკეთეს გუნდთან საბრძოლველად. თუმცა ახლა ამაზე წუწუნი არ შეიძლება, რადგან ეს წინასწარ წაგების ტოლფასია. ჩვენ კი წაგება აღარ გვინდა, უნდა მივეჩვიოთ მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრს და ამისთვის ყველაფრის დადებას. ეს კანონია, დავიმახსოვროთ.

ქართველთა სავარაუდო მოწინააღმდეგეები იქნებიან:

**კალათა პირველი**: საბერძნეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, ინგლისი, ჩეხეთი, საფრანგეთი, შვედეთი.

**კალათა მეორე**: გერმანია, ხორვატია, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ესპანეთი, რუმინეთი.

**კალათა მესამე**: სერბეთი, რუსეთი, დანია, ნორვეგია, ბულგარეთი, უკრაინა, სლოვაკეთი.

**კალათა მეოთხე**: ბოსნია, ირლანდია, ბელგია, ლატვია, ისრაელი, შოტლანდია, სლოვენია.

**კალათა მეხუთე**: უნგრეთი, ფინეთი, ესტონეთი, უელსი, ლიტვა, ალბანეთი, ისლანდია.

**კალათა მეშვიდე**: ლიხტენშტაინი, აზერბაიჯანი, ანდორა, მალტა, ფარერები, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, სან მარინო.

ახლა რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ და დავიწყოთ ყველაზე იოლი აღმართით. ჩემი ვერსია ასეთია: **საბერძნეთი, თურქეთი, რუსეთი, ლატვია, უელსი, სან მარინო**. ბერძნები თავიანთ კალათაში ობიექტურად ყველაზე სუსტები არიან, თან ერთი ტაიმი აქ ვაჯობეთ შარშან და 90 წუთი ათენში ვეჭიდავეთ კაცურად. იგივეს გამეორება შეიძლება თურქებთან დაკავშირებითაც. რუსეთს ნამდვილად არ ჰყავს, ვთქვათ, ნორვეგიაზე ან უკრაინაზე სუსტი გუნდი, მაგრამ პრინციპის ამბავია – ისეთი ჯიგრით დავხვდებით, თქვენი მოწონებული. ლატვიას, უელსს და სან მარინოს კი, სულ ცოტა, 16 ქულა უნდა ჩამოვართვათ 18 შესაძლებლიდან.

გადავინაცვლოთ ყველაზე დამრეც აღმართზე: **შვედეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, უნგრეთი, ფარერები.** შეიძლება გაგაოცათ პირველი შვიდეულიდან შვედების შერჩევამ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ეს გუნდი არა მარტო ჩვენთვის, ნებისმიერისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე იქნება - სწრაფი, გამოცდილი, ჯანიანი და რამდენიმეოსტატიანი აწყობილი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზეც შორს წავა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სკანდინავიელები კლასით ჩამორჩებიან ტრადიციულ დინოზავრებს და ეს უფრო საშიშია დაუნდობლობის ამბავში.

ასევე დაუნდობლობით გამოირჩევიან გერმანელები, ოღონდ შვედებისგან განსხვავებით, მათ კლასიც ძალიან მაღალი აქვთ. თან, როგორც თავად გერმანელები ამბობენ, ნაკრებში მიმდინარე გაახალგაზრდავების არცთუ საამო პროცესი ახლა ლახავს ეკვატორს და სწორედ გაისისთვის იქნებიან არიელი ჯეირანები იდეალურ ფორმაში.

დანია და ირლანდია გერმანიაში ვერ მოხვდნენ. შესაბამისად, შეილახა მათი თავმოყვარეობა და კიდევ უფრო შეილახება, თუ 2008 წელსაც ვერ მიიღებენ მონაწილეობას მთავარ გამოფენაში. ეს კი უფრო სახიფათოს ხდის ისედაც საშიშ მეტოქეებს. ნელ-ნელა წარსულ სიმძლავრეს იბრუნებს უნგრეთის ეროვნული გუნდიც, ხოლო ფარერებს ერთი ცუდი თვისება აქვს - მოულოდნელად, წყნარად უშლის ნერვებს გაცილებით სახელოვან კოლეგებს.

განვიხილოთ შემდეგი ვარიანტი: გუნდები, რომლებიც არასდროს ჩამოსულან ოფიციალურად დამოუკიდებელ საქართველოში და რომელთა ნახვაც აქედან გამომდინარე საინტერესოა. ჯგუფი ასეთი გამოვა - **ჰოლანდია ან საფრანგეთი, ესპანეთი, სერბეთი, ბელგია, ფინეთი, ლიხტენშტაინი**.

ბოლოს კი ჩემს ჰუმანოიდურ ვერსიასაც გთავაზობთ. საერთოდ, არ გახლავართ წინასწარმეტყველებათა მოყვარული და ტოტალიზატორთა სტუმარი, რადგან არ მაქვს ამის თანდაყოლილი ნიჭი. თუმცა გავბედავ და შემოგთავაზებთ იმ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაც რაღაც უხილავმა ძალამ მიკარნახა - **საფრანგეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლუქსემბურგი.**

ამ უხილავმა ძალამ სწორედ ახლა მიკარნახა ისიც, რომ დროა სისულელეების წერას შევეშვა და 27 იანვრის 3 საათს დაველოდო.

*მომავალ სამშაბათამდე*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი მისამართზე: თბილისი, თევდორე მღვდლის 13, ტელეფონი 94-02-89, საკონტაქტო პირი დავით შუბითიძე (899 534079) აცხადებს ღია ტენდერს ერთი ცალი დიზელის საწვავზე მომუშავეა 100-110 კვტ სიმძლავრის სამფაზიანი გენერატორის შესყიდვაზე (მიწოდების ადგილი იგივე).

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე დახურული კონვერტით 2006 წლის 14 თებერვლის 12 საათამდე.

სატენდერო წინადადებების კონვერტების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 14 თებერვლის 14 საათზე.

სატენდერო წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ;
- პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს;
- სატენდერო წინადადების ფორმას;
- ფასების ცხრილის ფორმას;
- მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერილობას;
- ხარისხის სერტიფიკატს;
- საგარანტიო ვადას;
- მოწოდების ვადას;
- ანგარიშსწორების ფორმას.

სატენდერო წინადადებების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა, ვისთანაც მოხდება ხელშეკრულების დადება გენერატორის მოწოდებაზე, მოხდება 17 თებერვლამდე.

*სატენდერო კომისია*

ფეხბურთი

# ბრაზილიური ტანდემი თბილისის „დინამოში"

მიხეილ აბაიშვილი

ადვილი შესაძლებელია, საქართველოს ჩემპიონი თბილისის "დინამო" მაღალი კლასის ორი ბრაზილიელი ფეხბურთელით გაძლიერდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის ყველა წინაპირობა არსებობს. ამჟამად თბილისში სინჯებზე იმყოფებიან ბრაზილიელი ნახევარმცველები ესკერდინიო სილვა გომეს ვიეირა და ჟოსემარ ამბროზიო.

ჟოსემარ ამბროზიო 25 წლისაა, ამპლუით მარჯვენა ნახევარმცველია და თბილისში ჩამოსვლამდე ბრაზილიის "ბაიას" ღირსებას იცავდა. "ბაიამდე" ამბროზიო ბრაზილიის პარანას შტატის დედაქალაქის გუნდში "კურიტიბაში" თამაშობდა.

ესკერდინიო სილვა გომეს ვიეირა, რომელსაც სამშობლოში უფრო სილვას სახელით იცნობენ, ასევე ნახევარმცველია, ოღონდ ამბროზიოს საპირისპირო ფლანგზე, მარცხნივ თამაშობს. იგი 21 წლისაა და ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უასპარეზია. საქართველოში ჩამოსვლამდე სილვა ბრაზილიის ცნობილ კლუბში "ატლეტიკო მინეიროში" ირიცხებოდა და დღემდე კონტრაქტით ამ კლუბთან არის დაკავშირებული. ორივე ეს ფეხბურთელი საკუთარი კლუბის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

"დინამოს" ხელმძღვანელობა ჯერ არ ახმაურებს ამ ინფორმაციას, თუმცა, ცნობილია, რომ საკონტრაქტო პირობებზე უკვე დაწყებულია მოლაპარაკება. თუ მხარეები პირობებზე შეთანხმდებიან, სილვა და ჟოსემარ ამბროზიო "დინამოს" მაისურს მოირგებენ.



*სილვა "დინამოში" ითამაშებს?*

ჭიდაობა

# მოჭიდავეები ჩემპიონებს გაარკვევენ

30 იანვარს სტარტს აიღებს და ოთხ დღეს გასტანს საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი მიიღებს მონაწილეობას.

ჩემპიონატი ჩატარდება ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის სპორტდარბაზში. ტურნირის ოფიციალური გახსნა გაიმართება 30 იანვარს, 16 საათზე.

30 და 31 იანვარს საჭიდაო ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს უმასპინძლებს, ხოლო 1 და 2 თებერვალს წონითი კატეგორიების მიხედვით მედლების კომპლექტებს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გაითამაშებენ.

მანამდე კი ბაქოში გაიმართა მუსიკ ისაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის, რომელშიც საქართველოს იუნიორთა ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა. ქართველი ჭაბუკი ფალავნები ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდნენ და არაოფიციალურ გუნდურ მეორე ადგილთან ერთად სხვადასხვა სინჯის ექვსი მედალი მოიპოვეს. სამი "ოქრო", ერთი "ვერცხლი" და ორი "ბრინჯაო". ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ გიორგი მაყაშვილი, ოთარ ურატაძე და ილია ოდიკაძე. თორნიკე როსტიაშვილი მხოლოდ ფინალში დამარცხდა, ხოლო ვასილ მამულაშვილს და ბექა ბუქურს ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად. მასპინძელთა გარდა ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ირანის, რუსეთის, უზბეკეთისა და საქართველოს ნაკრებებმა.

ჩოგბურთი

# ჰაასი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა



*ფედერერს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ჰაასმა გაუწია.*

მელბურნში, "როდ ლეივერის" სახელობის კორტზე, ნამდვილი დრამა გათამაშდა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი გერმანელ ტომი ჰაასს დაუპირისპირდა და ყველაზე უფერული მატჩი ჩაატარა მიმდინარე ტურნირზე. შვეიცარიელს ხუთი სეტი დასჭირდა იმისთვის, რომ თავმოყვარე გერმანელის წინააღმდეგობა დაეძლია.

ფედერერი ალბათ იმანაც შეაცდინა, რომ პირველი ორი სეტი მისთვის ჩვეულებრივად, უპრობლემოდ აეწყო და იფიქრა, ამ მატჩსაც იოლად მოიგებდა. მით უფრო, რომ ტომი ჰაასი არ განეკუთვნება საჩოგბურთო ელიტას და ტურნირზე განთესილიც კი არ ყოფილა.

პირველ სეტში გერმანელმა გაიბრძოლა, მაგრამ ერთი გეიმი მეტოქეს მაინც დაუთმო. ეს კი მოგებას ნაჩვევი შვეიცარიელისთვის საკმარისი აღმოჩნდა - 6:4 ფედერერის სასარგებლოდ. მეორე სეტში ჰაასი საცოდავი სანახავი იყო. ფედერერს ყველაფერი გამოსდიოდა, თითქოს ბავშვს ეთამაშებაო, ისე არბენინებდა გერმანელს კორტის ერთი კუთხიდან მეორეში. ჰაასი მიხვდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და მეტოქეს დანებდა. საბოლოოდ ფედერერმა - 6:0 მოიგო.

დრამა კი მესამე სეტიდან დაიწყო, რომლის მეხუთე გეიმიც ჰაასმა ფედერერს აართვა და შეიგრძნო კიდეც საკუთარი შესაძლებლობების მთელი სიმძლავრე. გერმანელმა მესამე სეტი თავის სასარგებლოდ - 6:3 დაასრულა და ფედერერი ანერვიულდა. სხვათა შორის, წლევანდელ ტურნირზე ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ფედერერმა მარცხის საფრთხე იგრძნო. განერვიულებულს კი უნებლიე შეცდომებიც მრავლად ეწვია. მან საბოლოოდ 58 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის აშკარად ბევრია.

ჰაასის უპირატესობა იგრძნობოდა მეოთხე სეტშიც, როცა მან კვლავ ერთი გეიმი აართვა ტურნირის პირველ ნომერს. 6:4 - ტომი ჰაასის სასარგებლოდ და მატჩის ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტ, მეხუთე სეტში უშეღავათო ბრძოლა გაიმართა. პირველი ოთხი გეიმი თავ-თავიანთ მოწოდებებზე მეტოქეებმა გაიყვეს. მეხუთე გეიმიდან კი ფედერერის უპირატესობა გამოიკვეთა. მან ჰაასის მოწოდება მოიგო და ამის შემდეგ მეტოქისთვის უბრალო შანსიც არ დაუტოვებია. საბოლოოდ ფედერერმა გადამწყვეტი სეტი - 6:2 მოიგო. მეოთხედფინალში გაეჯიბრება რუს ნიკოლაი დავიდენკოს, რომელმაც ასევე მძიმე, ხუთსეტიანი ბრძოლა გადაიტანა სლოვაკ დომინიკ ჰრბატთან.

დავიდენკო-ჰრბატის მატჩი ნამდვილ თრილერად გადაიქცა. პირველ ორ სეტში დავიდენკო უფრო საკუთარ თავს ებრძოდა. გადამწყვეტ დარტყმებს რუსი ჩოგბურთელი უნიათოდ ასრულებდა. არადა, სლოვაკიელისგან განსხვავებით, მოწოდებების დროს რუს ჩოგბურთელს არავითარი პრობლემა არ ჰქონდა.

შეიძლება დავიდენკოზე ცუდად იმოქმედა ჰრბატთან ბოლო შეხვედრამ, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გასულ წელს გაიმართა. მაშინ რუსმა ჩოგბურთელმა იოლად დაამარცხა მეტოქე და ამისთვის სულ ორი სეტი დასჭირდა. ამჯერად, როცა პირველი ორი სეტი წააგო, დავიდენკომ გადაწყვიტა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და "თავისი" თამაში დაიწყო. ჰრბატმა კი გამარჯვების სიახლოვე იგრძნო და, ცოტა არ იყოს, ანერვიულდა. დავიდენკომ თამაშს აშკარად მოუმატა და მალე მდგომარეობა გამოასწორა.

გადამწყვეტ სეტში ჰრბატი იმდენად დათრგუნული იყო, რომ დავიდენკომ ადვილად გაანადგურა. ზედიზედ მეორე წელია, რაც დავიდენკო ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გადის, მაგრამ ამჯერად მას უაღრესად სერიოზული გამოცდა ელოდება. მეოთხედფინალში ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს როჯერ ფედერერს გადაეყარა.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 5) - დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 12) | 4:6, 4:6, 6:4, 6:2, 6:3 |
| ნიკოლას კიფერი (გერმანია, 21) - ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 7:6, 6:3, 6:3 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 25) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) | 7:5, 6:2, 6:2 |
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) - ტომი ჰაასი (გერმანია) | 6:4, 6:0, 3:6, 4:6, 6:2 |
| **ქალები:** | |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი, 16) | 6:1, 6:1 |
| მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 6:1, 7:6 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 15) | 7:6, 6:4 |
| პატი შნაიდერი (შვეიცარია, 7) - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 12) | 6:2, 6:1 |

# შარაპოვა ავსტრალიურმა სიცხემ შეაწუხა



მას შემდეგ, რაც რუსმა მარია შარაპოვამ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მერვედფინალური ბარიერი გადალახა, ფანჯარა გამონახა და მწვანე კონტინენტის ამინდსა და საკუთარ თავზე სალაპარაკოდ მოიცალა.

სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა ზაფხულია და ჩოგბურთელებსაც გვარიანი ოფლის ღვრა უწევთ. კვირას 40 გრადუსი იყო, რამაც მიმდინარე ჩემპიონატსაც დაატყო კვალი. პაპანაქება სიცხის გამო ორგანიზატორებმა ჩოგბურთელთათვის სათამაშო პირობების ნაწილობრივ შესამსუბუქებლად გათამაშების განრიგიც შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ შარაპოვასა და სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვას მერვედფინალური მატჩი გადახურულ კორტზე მიმდინარეობდა, აშკარა იყო, ჩოგბურთელებს სიცხეში თამაში უჭირდათ. სწორედ ჰანტუხოვასთან მოგებული შეხვედრის შემდეგ რუსმა ლამაზმანმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ავსტრალიურ კლიმატზეც გაამახვილა ყურადღება: "ალბათ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ცხელი დღე ჩემს ცხოვრებაში. მართლაც საშინელი სიცხე იყო".

**- რა ხანია, მოწინავე ჩოგბურთელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მარტში გაიმართება. მათი აზრით, შეჯიბრების გაზაფხულზე გადატანა ახალი სეზნისთვის მოსამზადებლადაც უკეთესი იქნება. როგორ უყურებ ამ იდეას?**

- ასეთ წინადადებას მეც მხარს ვუჭერ. მგონია, რომ ეს ვარიანტი მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქებს ცხოვრებას.

**- რა შეგიძლია თქვა დანიელა ჰანტუხოვაზე?**

- ძლიერი მოთამაშეა. სწორედ ამიტომ მასთან შეხვედრაში სირთულეებს გადავაწყდი. თითოეული სეტის დასაწყისში თამაში არ მიმდიოდა – რიტმიდან ვვარდებოდი...

თუმცა, იმავდროულად ვგრძნობდი, რომ არცთუ ისე ცუდად ვთამაშობდი. ხელს ისიც მიწყობდა, რომ ერთი წუთითაც არ დამიკარგავს საკუთარი თავის რწმენა. ალბათ ამიტომაც მივაღწიე წარმატებას.

**- მეტოქის ძლიერ მხარეებზე რას იტყოდი?**

- დანიელა თითოეული ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის. გარდა ამისა, ძალზე ძლიერად და ზუსტად აწვდის.

**- რა გრძნობა დაგეუფლა, როდესაც მეორე სეტში ანგარიში 3:0 ჰანტუხოვას მიჰყავდა? ფიქრობდი, რომ გარდატეხას შეიტანდი და მატჩსაც მოიგებდი?**

- იმ დროს საერთოდ არ ვნერვიულობდი. საკმაოდ მშვიდად ვიყავი. ვიცოდი, რომ დანიელას მოწოდებაზე მისთვის გეიმის ართმევა უნდა მეცადა, რაც მდგომარეობას ჩემს სასარგებლოდ შემოაბრუნებდა. ასეც მოხდა.

**- ბოლო მომენტამდე არ იცოდი, მიიღებდი თუ არა ტურნირში მონაწილეობას. არადა, უკვე მეოთხედფინალში ხარ. ავსტრალიაში საკუთარი გამოსვლით კმაყოფილი ხარ?**

- რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ იმით, რომ მელბურნში ოთხი მატჩის მოგება და საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვედრა შევძელი. არადა, მეგონა, რომ ერთ-ერთ ადრეულ სტადიაზე წავაგებდი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ტიტულისთვის ბრძოლას ვაგრძელებ.

**- როგორ შეაფასებ საკუთარ თამაშს და ტურნირზე გამარჯვების შანსებს?**

- ვგრძნობ, რომ გამოვჯანმრთელდი. ამის დასტურია ისიც, რომ უკეთ ვთამაშობ. თითოეული შეხვედრის შემდეგ ვუმატებ. იმედია, კიდევ არაერთ მატჩს ვითამაშებ.

იოლი ორთაბრძოლები არ მექნება, მაგრამ სულ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.

**- შემდგომ მატჩში მეტოქედ ნადეჟდა პეტროვა გეყოლება. აქამდე მას ოთხჯერ შეხვდი და სამჯერ გაიმარჯვე, მაგრამ ბოლო შეხვედრაში, რომელიც ლოს ანჯელესში, WTA-ის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშე, სუფთად წააგე.**

- ის შეხვედრა კარგად მახსოვს. მართალია, ბოლომდე უნდა მებრძოლა, მაგრამ უკვე განაღდებული მქონდა ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება. ამიტომ ძალებს გავუფრთხილდი. რაც შეეხება მომავალ ორთაბრძოლას, ის ორივესთვის მძიმე იქნება. ნადეჟდა ძლიერი მოთამაშეა და კარგ ჩოგბურთს თამაშობს. მე კი ვალდებული ვარ, უკეთ ვითამაშო, რადგან ძალიან მინდა მომდევნო წრეში გავიდე.



## განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 1 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობის გასხვისებასთან დაკავშირებით:

**მიწის ნაკვეთი:**

მიწის ნაკვეთი უზურფრუქტითაა დატვირთული, ანუ ობიექტის მფლობელს აქვს მიწის ნაკვეთის სარგებლობის სრული უფლება, გასხვისების ან განკარგვის უფლების გარეშე.

ნაკვეთის ფორმა: ნაკვეთს მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა,

ნაკვეთის ფართი: მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 780 მ2 . აქედან 589მ2 განაშენიანებულია, ნაკვეთის რელიეფი: სწორია მცირე ქანობით,

სატრანსპორტო მიღწევადობა: მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ოზურგეთში ი. შემოქმედელის ქ. N3

კომუნალური და სხვა კვანძები: მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია კანალიზაციის, ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და სატელეფონო ცენტრალური სისტემებით, აგრეთვე არსებობს გაზგაყვანილობა.

**შენობა:**

ობიექტი აშენებულია XX-ე საუკუნის 80-იან წლებში. შენობის წინ მოწყობილია მანქანების სადგომი დაახლოებით 20-30 ავტომანქანისთვის. 2002-2005 წლებში შენობას ჩაუტარდა მაღალი ხარისხის კაპიტალური რემონტი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები. შენობა 1 სართულიანია, გააჩნია სარდაფი, მოშენების ფართია 589მ2 საერთო ფართია 675,92მ2, საიჯარო ფართია 350მ2 , შენობაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკასო კვანძი, გაკეთებულია კაპიტალური გადახურვა, შემოყვანილია დამატებითი სამფაზიანი ელექტროკვება ქალაქის მომარაგების მთავარი წყაროდან, შენობა აგრეთვე აღჭურვილია გათბობის სისტემით და დიზელ გენერატორით. **შენობის საწყისი სააუქციონო ფასია 120 000 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

*საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.*

# ირანული გაზი სომხეთში „გაზპრომ"-ის მონოპოლიის აღსაკვეთად

ვლადიმირ სოკორი

მოსკოვის განზრახვა სომხეთისთვის გაზის საფასურის ორჯერ გაძვირების თაობაზე, აცოცხლებს ერევანში არსებულ იდეას ირანიდან გაზის იმპორტის შესახებ. ნათელია, ირანიდან შემოტანილი ბუნებრივი აირი სომხეთს გაზის ბაზრის დემონოპოლიზაციის საშუალებას აძლევს. ამგვარად, სომხეთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან პირველი იქნება (ცენტრალური აზიის გარდა), ვინც რუსულის გარდა, გაზის მიწოდების სხვა წყაროს გამოძებნის.

სომხეთის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმებით, ირანის სახელმწიფო გაზის კომპანიას გაჰყავს მილსადენი თავრიზიდან (ჩრდილო-დასავლეთ ირანი) სომხეთში. პროექტის ღირებულებაა 220 მლნ აშშ დოლარი. მშენებლობა ამჟამად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, 160 კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობის ძირითადი ფაზა უკვე 2006 წლის შემოდგომისთვის დასრულდება. მისი სრული დატვირთვით ამოქმედება კი 2007 წლის შუაში არის ნავარაუდევი. წინასაწრი შეთანხმებით, ბუნებრივი აირის ფასი სომხეთის საზღვარზე 85 აშშ დოლარი იქნება ათასი კუბური მეტრისთვის. აღნიშნული მილსადენის საშუალებით, პირველი ოთხი წლის განმავლობაში სომხეთი ყოველწლიურად 1,1 მლრდ კუბურ მეტრ გაზს მიიღებს. ხოლო მომდევნო წლებში გათვალისწინებულია ამ მოცულობის გაორმაგება.

შედარებისთვის, 2005 წელს რუსეთმა 1,7 მლრდ კუბური მეტრი გაზი მიაწოდა 54-56 დოლარად. ახლა კი 110 დოლარს ითხოვს ათას კუბურ მეტრში და ეს ფასიც მხოლოდ 1 აპრილამდეა ძალაში. ირანული პროექტის დაწყებამდე რუსეთმა ერევანი დაითანხმა, შეამციროს მილსადენის გამტარუნარიანობა (მილის დიამეტრი 770 მმ-მდე უნდა შემცირდეს), რათა შემდგომში შეუძლებელი გახდეს სომხეთის გავლით ირანული გაზის ტრანსპორტირება საქართველოში.

სომხეთისთვის ირანიდან მიწოდებული გაზი, შესაძლოა, თურქმენული წარმოშობის იყოს. ეს უკანასკნელი ჩრდილო-დასავლეთ ირანს უკვე აწვდის გაზს, ანუ, ფაქტობრივად, უაზრობაა სომხეთის მიმართულებით ირანის შორეული სამხრეთი რეგიონებიდან გაზის ტრანსპორტირება, მაშინ როცა გაცილებით მომგებიანია თურქმენული გაზის გადატუმბვა.

თურქმენული გაზი ჩრდილოეთ ირანში “კორპეჯე-კურტ კუის” მაგისტრალის საშუალებით ხვდებოდა, რომლის გამტარუნარიანობაც ყოველწლიურად 13 მლრდ კუბური მეტრი აირის გადატუმბვის საშუალებას იძლევა; შესაბამისად, თურქმენული გაზის სომხეთისთვის მიწოდებას ტექნიკური პრობლემები არ შეუშლის ხელს. საქმე ისაა, რომ 2005 წლის განმავლობაში აღნიშნული მილსადენით გადაიტუმბა 6 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. წელს კი დაგეგმილია 8 მლრდ კუბური მეტრის ტრანსპორტირება.

2005 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ირანიდან მიწოდებული გაზის ფასი 85 აშშ დოლარი იქნებოდა. ეს ფასი შეიძლება შენარჩუნდეს 2006-2007 წწ განმავლობაში, შემდგომში, სავარაუდოდ, გაიზრდება. თურქმენეთმა 2005 წელს გაზის საფასური 44-დან 50 აშშ დოლარამდე გაზარდა და განაცხადა, რომ 2006 წელს იგი უკვე 50–დან 60 დოლარამდე გაიზრდებოდა. ამ შემთხვევაშიც კი, ირანის მიერ სომხეთისთვის შეთავაზებული ფასი უფრო მომგებიანია, ვიდრე რუსეთის მიერ მოთხოვნილი, აშკარად უსაზღვროდ გაზრდილი “გაზპრომის” გაზის ფასი – 110 დოლარი (რომელიც, სხვათა შორის, ასევე თურქმენული წარმოშობისაა.).

თუმცა, “ირანული ვარიანტი” არ წარმოადგენს სომხეთისთვის “გაზპრომის” გაზის ალტერნატიულ წყაროს. მას მხოლოდ სათადარიგო როლის შესრულება შეუძლია საქართველოს გავლით რუსეთიდან მიწოდებული გაზის შეფერხების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ირანის გაზის მიწოდება რუსეთის მონოპოლიას შეზღუდავს სომხეთის ბაზარზე – ერთგვარად დააბალანსებს რუსეთის შესაძლებლობას, გაზის ფასი ერთპიროვნულად ცვალოს ან სხვა დათმობებზე წასვლა აიძულოს სომხეთს. მას შემდეგ, რაც “ირანული გაზი” რეალობად იქცევა, ერევანს გაცილებით უკეთეს პირობებში შეეძლება რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოება.

სომხეთი ბუნებრივი აირის სანაცვლოდ ირანს ელექტროენერგიას მიაწვდის – შეთანხმების თანახმად - 3:1 პროპორციით. ანუ 6 მლრდ კვტ/სთ ელექტროენეტრგიას 2 მლრდ კუბური მეტრი გაზის სანაცვლოდ ყოველწლიურად (მათ შორის იგულისხმება ელექტროგენერაციისთვის საჭირო გაზიც). ელექტროენერგიის გამომუშავება მოხდება რაზდანის ელექტროსადგურის მეხუთე ბლოკზე, რომლის რეაბილიტაციასაც 2005 წლიდან ირანული სახელმწიფო კომპანიები ახორციელებენ. არსებული ხელშეკრულებით, ენერგობლოკში 160 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, ხოლო სამუშაოები 2007 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. გარდა ამისა, ირანის სახელმწიფო ელექტროკომპანია რაზდანიდან ირანისკენ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის აშენებასაც გეგმავს.

სომხეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი რაზდანის მეხუთე ენერგობლოკი ყველაზე თანამედროვეა და დანარჩენი ოთხი ბლოკისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ეს ოთხი ბლოკი 2002-2003 წწ. ხელში ჩაიგდო “რაო ეიეს”-მა. შეგახსენებთ, “აქციები ვალების სანაცვლოდ” გარიგების თანახმად, სომხეთმა საკუთარი საწარმოების აქციები რუსეთს 96 მლნ-იანი ვალის დასაფარად გადასცა. გასულ წელს “რაო ეიეს”-მა და “გაზპრომმა” კონსორციუმიც შექმნეს, რათა რაზდანის მეხუთე ენერგობლოკის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მიეღწიათ წარმატებისთვის და, ასევე, გაეყვანათ გაზსადენი სომხეთიდან ირანამდე. თუმცა, ერევანმა პროექტის შესასრულებლად ირანელი პარტნიორები არჩია.

დღეისთვის, “გაზპრომი” სომხეთს სთავაზობს დათმობას გაზის ფასზე, თუ ერევანი რაზდანის მეხუთე ენერგობლოკს საკუთრებაში გადასცემს გაზპრომს ან “რაო ეიეს”-ს (ან ორივეს ერთად). ამგვარ გადაწყვეტილებას შეუძლია საფრთხის ქვეშ დააყენოს ირანიდან გაზის მიწოდების პროექტი - ეს ენერგობლოკი და “ირანული ვარიანტის” ამოქმედება ხომ ურთიერთდაკავშირებულია.

# რუსეთი ბრიტანელ დიპლომატებში ჯაშუშებს ეძებს

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ პირველად დავიჭირეთ ისინი "საქმეზე", თანაც გვაქვს მტკიცებულება იმის შესახებაც, რომ ისინი რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებდნენ. თუმცა, კონკრეტულად რა მიზნით აკეთებდნენ ამას, ჯერ დასადგენი გვაქვს,"** - განაცხადა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა სერგეი იგნატჩენკომ.

უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა უჩვეულო ტექნიკური საშუალებები აღმოაჩინეს, რომლებიც ბრიტანელებმა სპეცსამსახურების ისტორიაში პირველად გამოიყენეს. კერძოდ, უშიშროების ფედერალური სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელმა, 30 წლის კრისტოფერ პირტმა, რომელიც რუსეთში 2002 წლიდან მუშაობს, მოსკოვის ერთ-ერთ სკვერში ქვაში სამალავი დაამონტაჟა. კონტრმზვერავებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ჩვეულებრივი კლასიკური სამალავი-კონტეინერია, თუმცა, რენტგენის სხივებით გაშუქების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქვაში აკუმულატორული ბატარეები, ასევე მიმღები და გადამცემი მოწყობილობა იყო მოთავსებული. როგორც უშიშროების ფედერალური სამსახური ამტკიცებს, რუსეთში ბრიტანეთის დაზვერვის მიერ გადაბირებული ადამიანი, სწორედ, ამ მოწყობილობის მეშვეობით იღებდა ან გადასცემდა ინფორმაციას. ამისათვის საკმარისი იყო, მას ჯიბის კომპიუტერით "ქვის" მახლობლად გაევლო. შემდეგ ასეთივე კომპიუტერით მოწყობილობას ბრიტანელი მზვერავი (საელჩოს თანამშრომელი) უახლოვდებოდა, რომელიც ასევე ტოვებდა ან იღებდა ინფორმაციას.

გარდა ამისა, "როსიას" კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ჯაშუშობაში მხილებული ბრიტანელი დიპლომატების მეშვეობით ხდებოდა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, კერძოდ მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის და ფონდ "ევრაზიას" დაფინანსება.

როგორც ჰელისნკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლუდმილა ალექსეევამ აღნიშნა "ინტერფაქს"-თან ინტერვიუში, "ქვეყანაში ადამიანის უფლებების დამცველთა წინააღმდეგ მასობრივი კამპანიაა გაჩაღებული, რაც ძალიან ჰგავს საბჭოურ პერიოდს". მისივე თქმით, ორი წლის წინ ორგანიზაციამ მართლაც მიიღო ბრიტანული გრანტი ამ სფეროში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუკი კონტრაქტს ხელს აწ უკვე ექვმიტანილი პირი აწერდა, ეს არ ნიშნავს მის ბრალეულობას ჯაშუშობაში. სააგენტო "ფრანს პრეს"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კი ალექსეევამ ტელეარხ "როსიაზე" ნაჩვენებ ფინანსურ დოკუმენტს ყალბი უწოდა. მისი თქმით, ბრიტანულ გრანტთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტაცია ინგლისურენოვანი იყო, ხოლო რუსულ ტელეარხზე რუსულენოვანი დოკუმენტების ასლები იყო ნაჩვენები. გადაცემა რუსეთის საზოგადოებრივი პალატის პირველივე სხდომიდან რამდენიმე საათში გაუშვეს ეთერში. ბევრი მიიჩნევდა, რომ პირველი კანონპროექტი, რომელსაც ეს ახალი ორგანო განიხილავდა, სწორედაც რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ახალი კანონი იქნებოდა, რამაც თავის მხრივ, აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია საზოგადოებაში. ვლადიმირ პუტინმა აღნიშნულ კანონს ხელი იანვრის პირველ ნახევარში მოაწერა, ტექსტი კი გასულ კვირას გამოქვეყნდა, საზოგადოებრივი პალატის სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ. კანონი ძალაში გამოქვეყნებიდან 90 დღის შემდეგ შევა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ოფიციალური ლონდონი არ მონაწილეობს რაიმე ფარულ გარიგებებში, რაც რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის ან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობას ითვალისწინებს. "არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება რუსეთში ღიად ხორციელდება," - აცხადებენ ბრიტანეთის საგარეო უწყებაში.

*24 საათი*

# მცოდნე საზოგადოებებისკენ

კოიჩირო მაცურა
*იუნესკო-ს გენერალური დირექტორი სპეციალურად „24 საათისთვის"*




ხომ არ ვდგავართ ახალი ერის საზღვარზე – ვთქვათ ისეთის, რომელსაც მცოდნე საზოგადოების ერა დაერქმევა? მე-20 საუკუნის სამეცნიერო მიღწევებმა, შეიძლება ითქვას, მესამე ინდუსტრიული გადატრიალება – ახალი ტექნოლოგიების რევოლუცია – გამოიწვია, რომელიც ინტელექტუალურ ტექნოლოგიებს გულისხმობს. ამ რევოლუციას თანდართულმა გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებამ საფუძველი ჩაუყარა ცოდნის ეკონომიკას – ადამიანთა აქტივობის, განვითარებისა და სოციალური გარდაქმნების ცენტრში ცოდნა მოექცა.

ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის ცოდნა; ჩანასახში მყოფი ინფორმაციული საზოგადოება მხოლოდ შეავსებს მის შესაძლებლობებს, თუ ხელს შეუწყობს პლურალისტული და მონაწილე - მცოდნე საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ 21-ე საუკუნეში ადგილი ექნება ზიარი ცოდნის საზოგადების განვითარებას? როგორც იუნესკოს ყოველწლიურ მოხსენებაში – “მცოდნე საზოგადებებისკენ” (კოორდინატორი ჟერომ ბინდე - ახლახანს გამოვიდა ექვს ენაზე) არის ხაზგასმული, განათლებულ საზოგადოებაში გარიყული ინდივიდები აღარ იქნებიან, რადგანაც ცოდნა საზოგადოებრივი კუთვნილებაა და იგი ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

ცოდნას ორი ადვილად შესამჩნევი თვისება აქვს: არაკონკურენტულობა და არაექსკლუზიურობა (საპატენტო ვადის გასვლის შემდეგ). პირველი თვისება მიუთითებს ცოდნის ბუნებაზე, რომელიც ჯეფერსონმა ასე განმარტა: “ის, ვინც ჩემი იდეით სარგებლობს, გადაწყვეტილებას იღებს ისე, რომ ჩემსას სულაც არ ასუსტებს; ისევე როგორც ის, ვინც ჩემს სანთელზე თავისას ანთებს - სინათლეს იღებს, თანაც ჩემსას არაფერი აკლდება.”

მეორე თვისება გულისხმობს, რომ მთელი საზოგადოებისთვის კუთვნილი ცოდნით სარგებლობა ყველას შეუძლია.

დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ ცოდნის გაზიარებაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება საუკეთესო გზაა სიღარიბის აღმოსაფხვრელად ეფექტური გეგმის შესამუშავებლად ან ისეთი რისკების თავიდან ასაცილებლად, როგორიცაა პანდემიები, ცუნამები ან ტროპიკული ქარიშხლები. იგი საუკეთესო გზაა კაცობრიობის მდგრადი განვითარებისთვის.

დღეს ჩვენს ხელთ არის განვითარების ახალი მეთოდები: პრობლემების გადაჭრისას ისინი უკვე აღარ ეფუძნებიან “სისხლს, ოფლს და ცრემლებს”, როგორც წარსულში, არამედ უფრო მეტად დაფუძნებულნი არიან მეცნიერულ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე, ინტელექტუალურ ფასეულობებზე და მომსახურების გაფართოებაზე სამოქალაქო განვითარებისთვის გამოსადეგ ყველა სექტორში. მოკლედ, მეთოდებზე, რომლებიც უნდა პასუხობდნენ მთელი საზოგადოების, წინმიმავალი დემოკრატიის ინტერესებს.

თუმცა, ზიარი ცოდნის საზოგადოებების “შემოსვლას” ხუთი წინააღმდეგობა უშლის ხელს:

- ციფრული დაყოფა: კავშირის არარსებობა მისაწვდომობის არარსებობას გულისხმობს. დღეს ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება – ამ მაჩვენებელმა უკვე მიაღწია ერთ მილიარდს. თუმცა, ორი მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ ელექტროგაყვანილობის გარეშე ცხოვრობს, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის სამ-მეოთხედს არავითარი ან ძალიან შეზღუდული საშუალება აქვს, ძირითადი ტელეკომუნიკაციური საშუალებებით ისარგებლოს.

- შემეცნებითი დაყოფა: კიდევ უფრო ღრმა და ძველი წინაღმდეგობა, რომელიც (ღარიბ) სამხრეთსა და (მდიდარ) ჩრდილოეთს, ასევე თითოეული საზოგადოების შიგნით არსებობს.

- ცოდნის კონცენტრაცია: განსაკუთრებით, მაღალტექნოლოგიური ცოდნის, ისევე როგორც გრძელვადიანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინვესტიციების მობილიზება ხდება შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში. ეს ყოველივე იწვევს “ტვინთა გადინებას” სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. თუმცა, ამ პროცესს “ჩრდილოეთი-ჩრდილოეთი” და “სამხრეთი-სამხრეთი” მიმართულებებიც აქვს.

- არსებული ცოდნის გაზიარება: თუმცა, მას შედეგ, რაც ცოდნა ინფორმაციის სახეს იძენს, მას საკუთარი ფასიც გააჩნია. როგორ უნდა გაივლოს ზღვარი ცოდნის უნივერსალურობასა (რომელიც თავის მხრივ ყველასათვის ხელმისაწვდომობას ნიშნავს) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებას შორის?

- ზიარი ცოდნის საზოგადოებების განვითარება დღეისათვის შეფერხებულია მრავალ ქვეყანაზე ზეგავლენის მქონე მზარდი სოციალური, ეროვნული, ურბანული, საოჯახო, საგანმანათლებლო და კულტურული უფსკრულებით. გარდა ამისა, გენდერული უფსკრულით – მაგალითად, დღეისთვის მდედრობითი სქესის მოსახლეობის 29 პროცენტი არ დადის სკოლაში. ასევე ქალთა ძალიან მცირე ნაწილია წარმოდგენილი სამეცნიერო წრეებში.

ჩამოთვლილ წინააღმდეგობათა დასაძლევად, სახელმწიფოებმა მასშტაბური ინვესტირება უნდა მოახდინონ განათლებაში, კვლევაში, საინფორმაციო განვითარებაში და ხელი შეუწყონ ფართო საზოგადოებაში ცოდნის ამაღლებას. სწორედ ამაზეა დამყარებული თითოეული ქვეყნის ბედი: ის ქვეყნები, როემლებიც ვერ შეძლებენ ეფექტური ინვესტირების განხორციელებას ცოდნაში, ხარისხიან განათლებასა და მეცნიერებაში, საკუთარ მომავალს საფრთხეში ჩააგდებენ, რადგანაც შესაძლოა, ასე მნიშვნელოვანი “გონებრივი რესურსების” დეფიციტის რისკი შეექმნათ.

რა პრაქტიკულ ღონისძიებებს გვათავაზობს მოხსენება “მცოდნე საზოგადოებებისკენ”? აი, ზოგიერთი მაგალითი:

- ხარისხიან განათლებაში ინვესტირება, რათა ყველასათვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი იგი. სახელმწიფოებმა თავიანთი მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გადადონ განათლების ხარჯებისთვის; დონორმა ქვეყნებმა კი უნდა გაზარდონ განათლებაზე გათვალისწინებული დახმარების ოდენობა.

- ხელისუფლებებმა, კერძო სექტორმა და სოციალურმა პარტნიორებმა უნდა შეისწავლონ “სასწავლო დროის გაგრძელების” ეტაპობრივად შემოღების შესაძლებლობა. იგი ინდივიდებს საშუალებას მისცემს, სავალდებულო სკოლის კურსიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგაც განაგრძონ სწავლა. ამრიგად, ყველას მიეცემა მთელი სიცოცხლის მანძილზე კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება, ხოლო მათ, ვინც ადრე დაანება თავი სწავლას, მეორე შანსი გაუჩნდება ცხოვრებაში.

- სამეცნიერო კვლევებში ინვესტირების პარალელურად, აუცილებელია, ხელი შეეწყოს ცოდნის გაზიარების ინოვაციურ და პრაქტიკულ მიდგომებს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, ვირტუალური თანამშრომლობა. ეს ახალი შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნის ლაბორატორიებში მომუშავე მკვლევარებს საშუალებას მისცემს, ოთახიდან გაუსვლელად გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. აღმოჩენებს, რომელთაც ჩვენ ადამიანის გენების გაშიფვრასაც მივაწერთ, შეუძლიათ სამეცნიერო სფეროში “ჩრდილოეთსა” და “სამხრეთს” შორის არსებული ურთიერთობები შეცვალონ და შეაჩერონ “ტვინთა გადინება”.

- ამას გარდა, საჭიროა ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა ახალ მცოდნე საზოგადოებებში და ადგილობრივი და ტრადიციული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენება.

მაგრამ, გაწვდება “სამხრეთი” მცოდნე საზოგადოებების საჭიროებებს? მხოლოდ “ჩრდილოეთისთვის” ხელმისაწვდომი ფუფუნება ხომ არ არის იგი? ზოგი ლინკოლნის სიტყვებს გაიხსენებს: “თუ ფიქრობ, რომ ცოდნა ძვირია, ეცადე, არ მიაქციო ამას ყურადღება!”

განა ამის კარგი გაკვეთილი არ არის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმატება? რამდენიმე ათწლეულის წინ ზოგიერთმა მასშტაბური ინვესტიციები განახორციელა განათლებასა და მეცნიერებაში და სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია აბსოლუტური სიღარიბის აღმოფხვრის თვალსაზრისით. ზოგმა მათგანმა მდიდარი ქვეყნების მაჩვენებლებსაც გაასწრო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ოდენობით. ზოგიერთმა წამყვანმა ქვეყანამ კი კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა იმით, რომ უფრო და უფრო ზრდიდნენ თავიანთ ქვეყნებში მდგრადი ჰუმანური განვითარების დონეს.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მსოფლიო, რომელიც დღეს ტრილიონ დოლარს ხარჯავს სამხედრო მიზნებზე, ვერ შეძლებს მცოდნე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის საყოველთაო ხელშეწყობას? განათლებისა და მეცნიერების მდგრად დაფინანსებას თან უნდა ახლდეს მკაფიო რეფორმების კურსი, რომელიც მიმართული იქნება უშედეგო დანახარჯების შემცირებისკენ, საჯარო სამსახურების ეფექტურობის ამაღლებისკენ, ბიუროკრატიის გამარტივებისკენ, არაეფექტური გრანტების შეჩერებისა და კორუფციის აღმოფხვრისკენ.

ათასგვარი უთანასწორობებით დაყოფილი მსოფლიოს, გამოწვევების საპასუხოდ და იმ წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად, რომელიც ჩვენს გლობალურ პრობლემებსა და ცოდნის დანაწევრებას შორის არსებობს, ცოდნის გაზიარებაზე კარგი ალტერნატივა არ აქვს. აფრიკული ანდაზის პერიფრაზირებით: ეს ერთადერთი რამეა, რაც იზრდება სხვისთვის გაზიარების შედეგად.

# მოსკოვის მეშჩანის სასამართლო გადაწყვეტილება სრულდება

სასამართლო აღმასრულებლებმა მიხაილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის პირად საბანკო ანგარიშებზე არსებული მთელი ფულადი სახსრების ამოღება დაიწყეს. მოსკოვის მეშჩანის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია "იუკოსის" ყოფილ ხელმძღვანელს და "მენატეპის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ბიუჯეტის სასარგებლოდ 17 მილიარდი რუბლი ჩამოერთვა. რამდენიმე ხნის წინ, სასამართლომ ფედერალური საგადასახადო სამსახურის სარჩელი დააკმაყოფილა და ხოდორკოვსკის და ლებედევს სახელმწიფოსთვის 17 მილიარდი რუბლის დაბრუნება დაავალა. დავალიანების დაფარვა ხოდორკოვსკის და ლებედევის კუთვნილი ფულით, ფასიანი ქაღალდებით და უძრავი ქონებით მოხდება.

## ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს IX თავის მოთხოვნათა შესაბამისად ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის № 01.09.09 დადგენილებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის № 20.10.430 დადგენილების საფუძველზე თოფურიას ქ. № 12-ში, № 128 საშუალო სკოლის მიმდებარედ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანის კანონიერების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ქ. თბილისის მთავრობაში (მდებარე ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე № 3/2563-05 წ.).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადაა ერთი თვე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 118-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება წარმოადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით 20 დღის განმავლობაში.

მერიის აპარატის
უფროსი მამუკა ახვლედიანი

გაზეთ “24 საათის” 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის განცხადება საწვავი მასალების შესასყიდად ღია ტენდერი, რომლის მე-3 პუნქტში გაიპარა უზუსტობა. უნდა იკითხებოდეს: ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 21 იანვრის 10 საათიდან 10 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი საბურთალოს ქუჩა № 28, ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური.






# სომხეთი: ადამიანის უფლებათა დამცველს თანამდებობიდან ათავისუფლებენ

*პრეზიდენტი ქოჩარიანი პრინციპულ ომბუდსმენს დაუპირისპირდა.*

რუზან ამირჯანიანი, ერევანი

12 იანვარს, როცა ხანშიშესული ცოლ-ქმარი ჰოვანესიანები სომხეთის ომბუდსმენთან შეხვედრაზე მივიდნენ, სახალხო დამცველის კაბინეტის კარი დაკეტილი და ოფიციალურად დალუქული დახვდათ.

ბევრის მსგავსად, არც მათ იცოდნენ, რომ ომბუდსმენი ლარისა ალავერდიანი 5 იანვარს თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

„თუ სახალხო დამცველს ასე ექცევიან, ჩვენ რაღა გვეშველება?“ – იკითხა დაკეტილ კართან მდგომმა ჰოვანესიანმა.

სახალხო დამცველის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების განზრახვას, მისცეს ომბუდსმენს პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებლად საქმიანობის საშუალება.

ადამიანის უფლებების ოფისი სომხეთის პრეზიდენტის 4 იანვრის ბრძანებულების თანახმად დაიხურა. ამავე დროს, ქოჩარიანის მითითებით, სახალხო დამცველის აპარატის მმართველი დროებითი კომისია შეიქმნა. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა.

ქოჩარიანის ბრძანებულების თანახმად, სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობა ახალი ომბუდსმენის დანიშვნამდე შეჩერდა. მალევე კომისიის წევრებმა ომბუდსმენის ოფისში კაბინეტები დალუქეს, ამოიღეს დოკუმენტები, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები, სამსახურეობრივი ავტომანქანებიდან კი ნომრები მოხსნეს.

„უპირველეს ყოვლისა, ამით ყველაზე მეტად დაზარალდება ხალხი, რომელმაც დაკარგა კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული უფლება, მიმართოს სახალხო დამცველს; ირღვევა იმ ადამიანთა უფლებებიც, რომლებმაც უკვე მოგვმართეს, რომელთა საჩივრებიც განიხილება და რომლებიც პასუხს ჩვენგან ელიან“, – განუცხადა ლარისა ალავერდიანმა IIWPR-ს.

ბევრი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის ოფისის დროებითი დახურვა საკითხის მხოლოდ იურიდიულ მხარეს არ უკავშირდება. მთავარ მიზეზად ყოფილ ომბუდსმენსა და პრეზიდენტ ქოჩარიანს შორის ხანგრძლივ, მწვავე დაპირისპირებას ასახელებენ.

ომბუდსმენის თანამდებობა სომხეთში 2003 წელს შეიქმნა. ამით ქვეყანამ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება შეასრულა. რადგანაც კონსტიტუციის თანახმად პარლამენტს ომბუდსმენის დანიშვნა არ შეეძლო, ქოჩარიანმა პირველი ომბუდსმენის ლარისა ალავერდიანის კანდიდატურა თავად დაასახელა. ალავერდიანი მუშაობას 2004 წელს შეუდგა.

მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ალავერდიანი მორჩილი სახალხო დამცველი არ იქნებოდა. იგი პრეზიდენტს საჯაროდ დაუპირისპირდა – გასული წლის თებერვალში, როცა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე (სადაც ომბუდსოენის საკითხი განიხილებოდა) სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცა. პროტესტის ნიშნად ალავერდიანმა სხდომა დემონსტრაციულად დატოვა. ამის შემდეგ მან პრეზიდენტთან შეხვედრა რამდენჯერმე სცადა, თუმცა 2005 წლის განმავლობაში პრეზიდენტისა და ომბუდსმენის პირისპირ შეხვედრა არ შედგა. ასეთ სიტუაციას ლარისა ალავერდიანი „მიუღებლად“ მიიჩნევდა.

„სავარაუდოდ, ალავერდიანის თანამდებობიდან გათავისუფლების მთავარი მიზეზი ომბუდსმენის წლიური ანგარიში (2004 წლის) გახდა“, – განაცხადა IIWPR-თან საუბრისას ანდრეი სახაროვის სახელობის ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა ლევონ ნერსისიანმა.

„ამ ანგარიშის გამოქვეყნება ბევრს არ სურდა, რადგან ის მთელ რიგ კითხვებს დაბადებდა. ხელისუფლებას კი ეს არ სჭირდებოდა“, – დასძინა მან.

ნერსისიანის აზრით, ხელისუფლების განსაკუთრებული აღშფოთება ერევნის ცენტრში, ჩრდილოეთის გამზირის მშენებლობის პროექტის შესახებ ალავერდიანის უარყოფითმა დასკვნამ გამოიწვია. ანგარიშში ძველი სახლებიდან მაცხოვრებლების გამოსახლების მეთოდები კრიტიკულადაა შეფასებული. დოკუმენტში ნათქვამია, რომ გამოსახლებულთა ნაწილს შესაბამისი კომპენსაცია არ მიუღია. ალავერდიანმა ამ პროექტის განხორციელების კანონიერების დადგენის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

სომხეთის ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარე ავეტიკ იშხანიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ალავერდიანის დამოუკიდებელ პოზიციასთან შეგუება აღარ შეეძლო. „ისინი არ ელოდნენ, რომ ომბუდსმენი ასე იმუშავებდა. ამას არავინ აპატიებდა და არც აპატიეს. ხელისუფლების საპასუხო ქმედება ტიპური იყო – აღმასრულებელ ხელისუფლებას ძალის დემონსტრირება შეუძლია, შემდეგ კი ამაყობს კიდეც ამით“, – ამბობს იშხანიანი.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, პირველი ომბუდსმენის უფლებამოსილება ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 30 დღის შემდეგ უნდა ამოწურულიყო. ახალი ომბუდსმენი პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა. თუმცა ეს თარიღი საკანონმდებლო ორგანოს ზამთრის არდადეგებს დაემთხვა. ასე რომ, თებერვლის შუა რიცხვებამდე, სანამ პარლამენტი მუშაობას შეუდგება, ეს თანამდებობა ვაკანტური იქნება.

გასულ წელს ომბუდსმენმა კანონში ცვლილების შეტანა მოითხოვა, რომელიც მას ახალი კანდიდატის დანიშვნამდე თანამდებობაზე დარჩენის უფლებას მისცემდა. თავისი მოთხოვნა ალავერდიანმა იმით დაასაბუთა, რომ გარდამავალ პერიოდში მისი ოფისის საქმიანობა არ უნდა შეწყვეტილიყო. მაგრამ ხელისუფლებამ ეს წინადადება არ მიიღო.

ლარისა ალავერდიანმა განაცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მმართველი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ჟურნალისტებისგან გაიგო და ოფიციალურად მისთვის არაფერი უცნობებიათ.

„პრეზიდენტის ბრძანებულება პირდაპირი ბრძანების სტილს ატარებდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი მთავარი მიზანი ომბუდსმენისთვის ოფისისა და მანქანის ჩამორთმევა იყო. მხოლოდ დაპატიმრების ორდერი არ გაუციათ“, – განაცხადა ალავერდიანმა 11 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე.

„მე ამას ვაფასებ, როგორც უძლურების გამოვლენას. კონსტრუქციული გამოსავლის შემოთავაზების ნაცვლად ხელისუფლებამ დესტრუქციული გზა აირჩია“, – ამ სიტყვებით დაასრულა ყოფილმა ომბუდსმენმა პრესკონფერენცია.

იმავე დღეს, როცა ქოჩარიანმა ბრძანებულება გამოაქვეყნა, ალავერდიანმა საკონსტიტუციო სასამართლოს საჩივრით მიმართა. მისი აზრით, პრეზიდენტის ქმედება არაკონსტიტუციურია.

ალავერდიანის იურიდიული მრჩევლის ჟორა ხაჩატრიანის მტკიცებით, ბრძანებულებამ სომხეთს კონსტიტუციური მოვალეობის (ჰყავდეს სახალხო დამცველი) შესრულების საშუალება წაართვა.

სასამართლომ ალავერდიანის სარჩელი არ დააკმაყოფილა. დადგენილებას საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არუშან ჰაკობიანი აწერს ხელს. სწორედ იგი დანიშნა ქოჩარიანმა ომბუდსმენის ოფისის მმართველი დროებითი კომისიის ხელმძღვანელად.

ჰაკობიანმა IIWPR-ს განუცხადა, რომ ხელისუფლება დადგენილი პროცედურების თანახმად მოქმედებდა. „ომბუდსმენს უფლებამოსილება 5 იანვარს შეუწყდა და პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა ადმინისტრაციის მმართველი კომისიის შექმნა“, – განაცხადა მან.

ჰაკობიანის თქმით, დროებითი კომისია ომბუდსმენის რაიმე ფუნქციის შესრულებას არ აპირებს.

ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, რომ ამ ინციდენტმა სომხეთში ომბუდსმენის თანამდებობის ავტორიტეტი შეასუსტა.

„ახლა ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი იფიქრებს – „ვინ არის ეს ომბუდსმენი? მისი თანამდებობიდან მოხსნა ხომ ერთ წუთში შეიძლება“, – განაცხადა ლევონ ნერსისიანმა.

„საზოგადოებას კი დაარწმუნებენ, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყოველთვის მართალები არიან“, – დასძინა მან.

„ეს შემდეგი ომბუდსმენისთვის გაკვეთილი იქნება, რადგან ვინც არ უნდა იყოს იგი, წინამორბედის გამოცდილება ყოველთვის შეახსენებს თავს. ეს გაკვეთილია საზოგადოებისთვისაც. ხალხს უკვე ეცოდინება, რომ სახალხო დამცველის იმედი არ უნდა ჰქონდეს“, – აღნიშნა ავეტიკ იშხანიანმა.

ჰაქობ ბერბერიანი




სომხეთის ყოფილი ომბუდსმენი ლარისა ალავერდიანი

# ჩრდილოეთ ოსეთი: თუთიის ქარხანა გარემოს აბინძურებს

*გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიღებული ზომების მიუხედავად, ვლადიკავკაზის თუთიის ქარხანას გარემოს დაბინძურებაში ადანაშაულებენ.*

ვიქტორ ბუივიდასი, ვლადიკავკაზი

„აქ სუნთქვა შეუძლებელია, განსაკუთრებით ცუდ ამინდში“, – ამბობს 20 წლის ალინა. „ნამდვილი საწამლავია, მხუთავი გაზი! ბავშვის გასეირნებაც კი შეუძლებელია; კარები და ფანჯრები ყოველთვის კარგად უნდა გქონდეს ჩაკეტილი – ეს გადარჩენის ერთადერთი გზაა“, – დასძენს 42 წლის გალინა.

ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის – ვლადიკავკაზის მკვიდრები ამბობენ, რომ ქალაქში ჰაერი მეტისმეტად დაბინძურებულია და ამის მიზეზი თუთიის ქარხანა „ელექტროცინკია“. თუმცა ქარხნის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ უწინდელთან შედარებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ეკოლოგიური პრობლემები წარსულს ჩაბარდა.

„ელექტროცინკი“ ადგილობრივ ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ქარხანაში 3500 ადამიანია დასაქმებული და ქალაქში დასაქმების ყველაზე დიდ წყაროს წარმოადგენს.

ქარხანა 1904 წელს ქალაქის გარეუბანში აშენდა, მაგრამ ვლადიკავკაზი გაიზარდა და ათწლეულების შემდეგ ის ერთ-ერთი საცხოვრებელი უბნის ცენტრში აღმოჩნდა.

ვლადიკავკაზის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის ეკოლოგიის კათედრის პროფესორის ივან ალბოროვის აზრით, ქალაქის სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურების ძირითადი წყარო სწორედ ეს ქარხანაა.

როგორც ჩანს, ქალაქში ყველა ეთანხმება მოსაზრებას, რომ გასულ წლებში – ქარხანაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე, „ელექტროცინკი“ გარემოს მნიშვნელოვნად აბინძურებდა.

ალბოროვის თქმით, რვა წლის წინ, როცა ექიმებმა ქარხნის მახლობლად მდებარე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს თმის სინჯები აუღეს, მათში დასაშვებ კონცენტრაციაზე ათჯერ მეტი ტყვიის შემცველობა აღმოაჩნდა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლიდია ჩოფიკაშვილი ამბობს, რომ 1990-2000 წლებში ვლადიკავკაზში ყოველი 1000 ახალშობილიდან 40-45 ამა თუ იმ დეფექტით იბადებოდა, ძალიან ხშირი იყო ორსულობის შეწყვეტის შემთხვევებიც.

ყოველივე ამაში ჩოფიკაშვილიც „ელექტროცინკს“ ადანაშაულებს. თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ „დამნაშავე“ ავტომანქანების გამონაბოლქვი და სხვა ფაქტორებიცაა, მათ შორის უხარისხო საკვები.

2003 წელს სასამართლომ „ელექტროცინკის“ წინააღმდეგ სახელმწიფო დაწესებულებებისა და გარემოსდაცვითი ჯგუფების სარჩელი დააკმაყოფილა და თუთიის ქარხნის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამის შემდეგ ქარხანა რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ჰოლდინგის – UMMC-ის საკუთრება გახდა. შეთანხმების თანახმად, ქარხნის ახალ ხელმძღვანელობას გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა 2007 წლამდე უნდა მოეგვარებინა.

ქარხნის დირექტორის მოადგილემ სერგეი გოლომზიკმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ რომ UMMC-მა იმაზე გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ევალებოდა. მისივე თქმით, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ გარემოს დაბინძურების დონე 90 პროცენტით შემცირდა.

„გარემოს დაბინძურების პრობლემების მოსაგვარებლად 156 მილიონი რუბლი (5.5 მილიონი აშშ დოლარი) დავხარჯეთ. ეს უპრეცედენტო მოვლენაა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმების მიხედვით ჩვენ მხოლოდ 90 მილიონი უნდა დაგვეხარჯა. მე არ ვამბობ, რომ ჩვენი ქარხანა გარემოს ზიანს არ აყენებს, მაგრამ ჩვენ არნახულ პროგრესს მივაღწიეთ“, – აღნიშნა გოლომზიკმა.

ჩრდილოეთ ოსეთის გარემოს დაცვის კომიტეტის საინფორმაციო-ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელი თეიმურაზ ცოგოევი ადასტურებს, რომ „ელექტროცინკში“ მდგომარეობა ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვად გაუმჯობესდა.

„2005 წლის ივლისში გოგირდმჟავის საამქროდან გოგირდის ანჰიდრიდი გამოიყო და ამის გამო კომპანია 30 ათასი რუბლით დაჯარიმდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ფართომასშტაბიანი ავარიები, როგორიც 2003 წელს ხდებოდა, ბოლო დროს აღარ დაფიქსირებულა“, – განუცხადა ცოგოევმა IWPR-ს.

თეიმურაზ ცოგოევის თქმით, მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თუნდაც ის მიუთითებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებისგან საჩივრების რაოდენობამ იკლო.

„ჩვენ საგანგაშო ინფორმაციას ცხელი ხაზის საშუალებით ვიღებთ. ხალხი მახლობლად მდებარე ქუჩებიდან რეკავს. 2003 წელს დღეში დაახლოებით 70 ზარი შემოდიოდა, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, მგონი, ბოლო სამი თვის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ დაგვირეკეს“, – დასძინა მან.

თუმცა ზოგიერთი ექსპერტი გარემოს დაცვის სფეროში ქარხნის მიღწევებს ეჭვის თვალით უყურებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ ოსეთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნატალია მერკულოვამ IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ დაბინძურებული წყალი ახლოს მდებარე მდინარეში – სობაჩია ბალკაში ჩაედინება, ხოლო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგი ტყვიით არის დაბინძურებული.

„ელექტროცინკი“ ვლადიკავკაზის მოსახლეობის ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს აყენებს, ახალი მენეჯმენტის პირობებშიც კი“, – განაცხადა მერკულოვამ.

სერგეი გოლომზიკი მერკულოვას მოსაზრებებს არ იზიარებს.

მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საუბრებს ალბოროვიც სკეპტიკურად უყურებს. „22 თვე გავიდა და რა მივიღეთ? სამი მილიონი ტონა საწარმოო ნარჩენი ძველებურად ქარხნის ტერიტორიაზეა განთავსებული. ქარხანა კვამლსა და მტვერს გამოყოფს, გარემოს მავნე ნივთიერებებით აბინძურებს. ჯართის გადადნობის შედეგად მიღებული ნარჩენები კი მომწამლავია“, – ამბობს იგი.

ივან ალბოროვის მტკიცებით, ვლადიკავკაზის ცენტრში დიოქსინებია აღმოჩენილი.

თუმცა გოლომზიკი ქარხნის ტერიტორიაზე დიოქსინების არსებობის ფაქტს უარყოფს. ხოლო რაც შეეხება ალბოროვის მტკიცებას ქარხნის ტერიტორიაზე დიდი ოდენობით ნარჩენი მავნე ნივთიერებების არსებობის შესახებ, იგი ირწმუნება, რომ რკინის დიდი ნაწილი ამჟამად გადამუშავების პროცესშია, ქარხნის ტერიტორიაზე კი საწარმოო ნარჩენის მხოლოდ ნახევარია დარჩენილი.

რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, „ელექტროცინკის“ მსგავსი ქარხნების ირგვლივ ერთკილომეტრიანი სანიტარულ-დამცავი ზონა უნდა არსებობდეს, სადაც არ იქნება სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

მაგრამ კანონს არასდროს იცავდნენ. ნატალია მერკულოვა მიიჩნევს, რომ ქარხნის ირგვლივ ერთი კილომეტრის რადიუსზე დაბინძურების მაჩვენებელი დასაშვებ დონეს ორჯერ ან სამჯერ აღემატება.

გოლომზიკი ამტკიცებს, რომ ამჟამად ქარხნის დამცავი ზონა ერთ კილომეტრზე ნაკლები შეიძლება იყოს, რადგან მავნე გამონაბოლქვის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. კრიტიკულად განწყობილი ადამიანები, მაგალითად ალბოროვი კი ამტკიცებს, რომ ერთკილომეტრიანი დამცავი ზონა საკმარისი არ არის.

გასული წლის 25 ოქტომბერს ქარხნიდან ღია წითელი ფერის მტვრის დიდი ღრუბელის ამოფრქვევა მოხდა. ქარხნის წარმომადგენლის ევდოკია ირჟაკოვსკაიას განცხადებით, ეს ერთ-ერთ საამქროში მომხდარი შემთხვევით იყო გამოწვეული. მისი მტკიცებით, მტვერი ჯანრმთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამონაბოლქვების ახლანდელი მოცულობა ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის, ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, სუნი, რომელიც ქარხნიდან აღწევს, მათ ცხოვრებას არასასიამოვნოს ხდის.

„უკვე ახალგაზრდა აღარ ვარ და ამიტომ ჰაერის ჩასასუნთქად ხანდახან აივანზე გავდივარ. მაგრამ ძალიან ხშირად უკან ვბრუნდები და ყველაფერს ვხურავ, სავენტილაციო ფანჯარასაც კი“, – გვითხრა 62 წლის ქალბატონმა ჟანამ, რომელიც ქარხნიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით ცხოვრობს.

„ელექტროცინკის“ მხრიდან ქარს ძლიერი ქიმიური სუნი მოაქვს. ფაქტობრივად, სუნთქვა შეუძლებელია“, – დასძინა მან.

ქარხნიდან ამოფრქვეული სუნი ივან ალბოროვსაც აწუხებს. „როცა აივანზე გავდივარ, ცხვირზე ცხვირსახოცის აფარება მიწევს, სხვანაირად ვერ ვსუნთქავ. არადა, მე მდინარე ტერეკის მეორე მხარეს ვცხოვრობ, რომელიც ქარხანასთან არც ისე ახლოსაა“, – ამბობს იგი.

**სტატიის დაწერაში მონაწილეობა მიიღო IWPR-ის ჩრდილოეთ კავკასიის ოფისის კოორდინატორმა და რედაქტორმა ვალერი დზუცევმა.**

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ჰარი პოტერი და მისტერ დიქსლი

## კუნძული ლიტერატურის გურმანებისთვის

*ორი დღის წინ წიგნის მაღაზია "სანტა ესპერანსაში" "ჰარი პოტერის" მეხუთე წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. თუმცა ეს უკანასკნელი სხვა მსგავს ღონისძიებებს არ ჰგავდა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და მაღაზია შაბათს მხოლოდ ბავშვებს მასპინძლობდა. მიუხედავად ამისა, მათი მშობლებიც არანაკლებ ხალისიანნი ჩანდნენ. მაღაზიაში ტრადიციული თამაშობა გაიმართა. კლუბებისა და პრეფექტების შეჯიბრების შემდეგ პატარებმა სხვადასხვაგვარი საჩუქრები დაიმსახურეს. "ჰარი პოტერის" მეხუთე წიგნი პირველია, რომლის გამოსვლა სანქტ-პეტერბურგის ქუჩაზე ახლად გახსნილ წიგნის მაღაზიაში აღინიშნა.*

სოფო კილასონია

თავგადასავალი გრძელდება. შინაარსის თვალსაზრისით მეხუთე წიგნი "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი" ბევრად დაძაბული ხდება, რადგან ყველაზე ბოროტი ჯადოქარი ცოცხლდება და მის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა იწყება.

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" დირექტორი თინა მამულაშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის სათავგადასავლო ზღაპარი და ვისაც უყვარს თავგადასავალი, მისთვის "ჰარი პოტერი" ძალიან საინტერესოა: "ვიქტორინა უკვე გამოსული ოთხი წიგნიდან დასმული კითხვებით არის შედგენილი. ბავშვები წარმოუდგენლად რთულ კითხვებს პასუხობენ. მონაწილეთა უმრავლესობამ დაწვრილებით იცის ზღაპრის ყველა დეტალი. ამ წიგნმა ბავშვებს კითხვა შეაყვარა. საერთოდ, მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ "ჰარი პოტერი" მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელმაც გამოიწვია წიგნის ბაზრის განვითარება. იგი იმდენად დიდი ტირაჟით იბეჭდება მთელ მსოფლიოში, რომ მან ქაღალდის ბაზრის განვითარებაც კი გამოიწვია. მეხუთე ტომი ირაკლი ბერიაშვილმა თარგმნა. მეექვსე წიგნზე კი ქეთი ყანჩაშვილი მუშაობს."

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნის მაღაზია, რომელმაც აკა მორჩილაძის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებული რომანისგან ისესხა სახელი, ერთგვარი "კუნძულია ლიტერატურის გურმანებისთვის." "სანტა ესპერანსა" მრავალფეროვანი ლიტერატურული რეპერტუარით იწონებს თავს, თუმცა სულ მალე მას კიდევ ერთი წიგნი და თანაც საკმაოდ ორიგინალური და გამორჩეული ქმნილება შეემატება.




25 იანვარს, 18 საათზე, მაღაზია "სანტა ესპერანსაში" აკა მორჩილაძის ახალი რომანის "მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთის" პრეზენტაცია გაიმართება. მისტერ დიქსლი, სანტა ესპერანსას მთავარი დეტექტივი, სანტა სიტიში, 700 ნაბიჯის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას იძიებს. ის ამ საქმესთან დაკავშირებულ მასალებს აგროვებს და საქაღალდეში გარკვეული თანმიმდევრობით აწყობს, ხოლო საქაღალდეებს სპეციალურ სეიფში ინახავს. თუ მკითხველი დაკვირვებით გაეცნობა მისტერ დიქსლის სეიფში დაცულ მასალებს: ოთხი სხვადასხვა ადამიანის – ორი ქალისა და ორი მამაკაცის – დღიურებს, ჩანაწერებს, მოთხრობებს, ბლოკნოტებს, წერილებს, ღია ბარათებს, საგაზეთო სტატიებსა და სავიზიტო ბარათებს, გაიგებს რომანის მთავარი გმირების წარსულისა და ურთიერთკავშირის მთავარ დეტალებს და, რაც მთავარია, გაიგებს, თუ ვინ და რატომ ჩაიდინა მკვლელობა, ვინ არის მკვლელი და ვინ იყო მოკლული. პრაქტიკულად, მკითხველი რომანის კითხვის პროცესში თავად ხდება გამოძიების მონაწილე და რომანის თანაავტორი.

აკა მორჩილაძის ახალ რომანს ამჯერად ყუთის ფორმა ექნება. იქ მოთავსებული მასალების დათვალიერებით დაკვირვებული მკითხველი არაერთ საინტერესო დეტალს შეიტყობს სანტა ესპერანსას კუნძულებისა და მათი დედაქალაქის სანტა სიტის შესახებ. ყუთში არსებული მასალების გაცნობით მკითხველი რომანის ავტორთან ერთად გამოიძიებს მკვლელობას. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" რომანის მაკეტი 2005 წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე წარადგინა, სადაც ამ უჩვეულო პროექტით უამრავი უცხოური გამომცემლობა დაინტერესდა.

# ვინ გააღებს კინემატოგრაფიის კარს

## "ამარკორდი" ახალგაზრდა რეჟისორებს მასპინძლობს

ბიბა ბურასაშვილი

ვინაა კინონამუშევრის შემფასებელი?

პასუხი მარტივია: მაყურებელი. მაგრამ იმისთვის, რომ შემფასებელმა რეჟისორის ნამუშევარი იხილოს, მათი ჩვენებაა საჭირო. თუმცა არის ერთი გარემოებაც. მნიშვნელობა არა აქვს, ახალგაზრდა იქნება რეჟისორი თუ ხანდაზმული, ყველას ასპარეზი სჭირდება. სწორედ ასეთი ასპარეზი დაუთმეს კინოთეატრ "ამირანის" პატარა დარბაზ "ამარკორდში" კინოთეატრის ხელმძღვანელებმა ახალგაზრდა რეჟისორებს საიმისოდ, რომ საკუთარი ნამუშევრები აუდიტორიისთვის წარედგინათ. შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, არიან კი ისინი კინემატოგრაფები? ალბათ არიან, რაკი ეს გზა აირჩიეს. თუმცა, სხვა საკითხია, ვის როგორ გამოსდის ან როგორ გამოუვა. თუ იმ რეჟისორთაგან, რომელთა ფილმებსაც მასპინძლობს "ამარკორდი", ერთი მაინც შეძლებს დიდი კინემატოგრაფიის კარის შეღებას, მაშინ ქართული ფილმიც იარსებებს.

"ამარკორდის" არტ-მენეჯერმა, კინომცოდნე ლიკა ციხისელმა საკუთარ მოწაფეებს (ის ჩვენების მონაწილეთა უმეტესობას კინემატოგრაფიას აზიარებს) ნატვრა აუსრულა.

"ძალიან უნდოდათ, რომ მათი ნამუშევრები ვინმეს ენახა, შეეფასებინა და აზრი გამოეთქვა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, როგორც კი ამის საშუალება მოგვეცა, დარბაზი დავუთმეთ".

ერთი სიტყვით, მიზანი ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების ფართო აუდიტორიის წინაშე გატანა გახლდათ.

"ამარკორდში" წარმოდგენილი 17 ფილმი არც საკონკურსოა და არც საფესტივალო. უბრალოდ, ჩვენებაა და მორჩა. თუმცა, ჩვენებასაც აქვს თავისი დატვირთვა: ვინ მოდის, რა თაობა, როგორი ხელწერით. ახალგაზრდა რეჟისორთა ერთი ნაწილი ჯერაც თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, მეორე ნაწილს კი თეატრალურში სწავლა დამთავრებული აქვს და დიდი გადასაღებ მოედანზე გასასვლელად ემზადება.

რა თქმა უნდა, ფილმები მოკლემეტრაჟიანია ერთის გამოკლებით – ფილმი "ბოდვა" 60 წუთს გრძელდება (რეჟისორი თ. ბზიავა). ფილმების "წყურვილისა" და "კომპლექსის" რეჟისორი კოტე თაყაიშვილი კი 15 წლისაა!

ჩვენება ათ დღეს გასტანს. სეანსები 19 და 21 საათზეა. აქვე გთავაზობთ ნამუშევრების ნუსხას, რა თქმა უნდა, რეჟისორებთან ერთად:

"უბრალოდ ამბავი" (რეჟისორი დათო ჩოკოლაშვილი), "ორნი" (აჩიკო ქავთარაძე), "ბუდეში" (სალომე კოკაია), "გამარჯვების დღე" (ლადო ბაშარული), "ილუსტრაციაში დაკარგულები" (მაია კიკაბიძე), "წყურვილი და "კომპლექსი" (კოტე თაყაიშვილი), "უსიტყვოდ" (სალომე კობახიძე), "105" (ვანო ბურდული), "პატარა ქალაქი" (დავით იაშვილი), "გავრიკა" და "კედელი" (გიორგი მასხარაშვილი), "ტანკა" (განო მელითაური), "ორმო" (მარიკა ქაცარავა), "ბოდვა" და "უსმინე შოპენს" (თორნიკე ბზიავა).

# დაუფასებელი ბრწყინვალე მხატვარი

სამსონ ლეჟავა

თბილისის ძველი ინტერიერები უზარმაზარ საგანძურს იტევს. ერთ-ერთი ტრადიციული თბილისური ეზო კულტურის უმნიშვნელოვანესი კერაა. აქ ინახება ისეთი გამორჩეული ოსტატის შემოქმედებითი დანატოვარი, როგორიც გახლავთ ქალბატონი კლარა კვეესი (1903-1990). ქალბატონი კლარას მამა, კარლ კვეესი, საქართველოში საპარკო ხელოვნების გამოჩენილი პოინერთაგანია, დიდი საზოგადო მოღვაწე, წარმომავლობით ლატვიელი, ხოლო დედა, კლარა ცახერლი, თბილისელი დიასახლისი იყო. იგი ეკუთვნოდა აქ მცხოვრებ გერმანელთა იმ მრავალრიცხოვან საზოგადოებას, რომელთაც გულით შეიყვარეს ჩვენი ქვეყანა და მისი ხალხი და საქართველო თავის ნამდვილ სამშობლოდაც აღიქვეს.

ქალბატონი კლარა კვეესი თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველი გამოშვების წარმომადგენელია. იგი სწავლობდა გამოჩენილი ევგენი ლანსერეს სახელოსნოში.

თავდაპირველად მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობდა სახელგანთქმულ მხატვარ სოლიკო ვირსალაძესთან ერთად, შემდეგ კი მონაწილეობდა მრავალ არქეოლოგიურ ექსპედიციაში. თავისი ფილიგრანული ნახატებით შექმნა უზარმაზარი, ფასდაუდებელი დოკუმენტური საუნჯე.

კლარა კვეესი ერთხანს ფუტურიზმით იყო გატაცებული. საზოგადოდ ხაზგასასმელია, რომ იგი უიშვიათესი ორგანულობით ითავსებდა კლასიკური ხელოვნების ფუნდამენტურ გამოცდილებას და მოდერნისტული ექსპერიმენტულობის სიმძაფრეს.

გაკვირვებას, მეტიც, განცვიფრებასაც კი იწვევს მისი ნახატის სტრუქტურული სიმტკიცე, სილონივრე, სკულპტურული პლასტიკურობის ძალა, სრულიად განსაკუთრებული, ღრმად შთამბეჭდავი მონუმენტურობა.



შეუძლებელია სრულფასოვანი წარმოდგენა ვიქონიოთ არა მხოლოდ ქართული, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თვით მსოფლიო მოდერნისტული ხელოვნების სპეციფიკურ გამომხატველობაზეც კი, თუ არ გავეცნობით კლარა კვეესის ჩინებულ, მძლავრი ენერგიითა და პულსირებადი რიტმულობით აღსავსე მცირე ზომის, მაგრამ უზარმაზარი მხატვრული ფასეულობის მქონე გრაფიკულ კომპოზიციებს, რომლებშიც XX საუკუნის ხელოვნების "გაშიშვლებული" ხატოვანება, გაბედულება, ახლებურ, ზოგან მკვეთრ ხერხთა ძალუმი ექსპრესია – არსებითია. ამ ნაკადში კლარა კვეესი იმდენად თვითმყოფადი, ორიგინალური და დამარწმუნებელია, რომ მხოლოდ სინანულს იწვევს: დღეს ძალზე ცოტა ვინმე თუ იცნობს მის შემოქმედებას არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ ჩვენშიც. იშვიათი გამონაკლისია დალი ლებანიძის მიერ განხორციელებული პროფესიული ანალიზი ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში".

ასევე უძლიერესია მისი ფერწერა. მაგალითად, ნატურმორტებში დაუძაბავად არის შეხამებული ფორმის უაღლესად მაღალორგანიზებული, მიზნობრივი, ზომიერი, მაგრამ მხატვრულად ბოლომდე გამჟღავნებული, თანაც თავმოყრილი, ფოკუსირებული დეფორმაცია და შეფარული, ჩაღრმავებული ფერწერული სიმდიდრე. ამ სურათების ადგილი, ვფიქრობ, არათუ ფალკისა და კონჩალოვსიკის, არამედ, თუ გნებავთ, ბროკისა და პიკასოს გვერდითაა. და აქ, ასე მგონია, არც არის არავითარი გადაჭარბება. მით უფრო გულსატკენია, რომ ეს ტილოები დღეს საშინლად არის დაზიანებული, განადგურების პირას მისული. ისინი საჭიროებს სასწრაფო, გადაუდებელ რესტავრაციას. რაც შეეხება ფერწერულ ნიუებს, მათში ჩენილი ოსტატობა მართლაც კულმინაციურია.

დღეს ქალბატონი კლარას მემკვიდრეობას პატრონობს მისი ქალიშვილი ქალბატონი მანანა ანდრონიკაშვილი, რომელმაც უამრავი საინტერესო ფაქტი გაგვაცნო არა მხოლოდ ქალბატონი კლარას ბიოგრაფიიდან. მან მრავალი საგულისხმო რამ გვაუწყა იმ მართლაც მაღალკულტურული გარემოს შესახებ, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა კლარა კვეესის, როგორც მხატვრისა და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ბოლოს მსურს მადლობა გადავუხადო ხელოვნებათმცოდნე თათია ღვინერიას ამ წერილის მომზადებაში თანადგომისთვის.

# კორტნი ლავმა შვილზე მეურვეობის უფლება დაიბრუნა



სკანდალურმა მსახიობმა და როკ-ვარსკვლავმა კორტნი ლავმა 16 იანვარს საკუთარ შვილზე მეურვეობის უფლება აღიდგინა. მას ეს უფლება გასულ წელს ჩამოართვეს, მას შემდეგ, რაც ნარკოტიკების აქტიურ მოხმარებასა და ძალადობრივ ქმედებებში დაადანაშაულეს. კორტნი ლავისა და მისი გარდაცვლილი მეუღლის კურტ კობეინის ქალიშვილი ფრენსის ბინი 13 წლისაა. ის აცხადებს, რომ არ მოსწონს, როცა დედამისის შესახებ ამდენ საშინელებას წერენ პრესაში, რადგან ბევრი რამ სიმართლეს არ შეეფერება და გაზვიადებულია. კორტნი ლავი მკურნალობის კურსს გადიოდა. ახლა ის გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ამიტომ სასამართლომ ნება დართო, ქალიშვილთან ერთად იცხოვროს. მანამდე ფრენსისზე ბებია ზრუნავდა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ კორტნი ლავის დედა წერს მემუარებს, რომელსაც "მისი დედის ქალიშვილი" ერქმევა. წიგნში აღწერილი იქნება დედის თვალით დანახული მუსიკოსის ცხოვრება, მოთხრობილი იქნება იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცა უცნაური ბავშვი მეამბოხე თინეიჯერად, შემდეგ კი როკ-ვარსკვლავად. ასე რომ, ლავისა და კობეინის თაყვანისმცემლებს ამ წიგნის სახით საინტერესო სიურპრიზი ელით. რაც შეეხება კორტნი ლავის მუსიკალურ კარიერას, ის ახლო მომავალში ახალ პროექტებს გეგმავს სხვა როკ-მუსიკოსებთან ერთად.

# ეკა, მღვდლები და ქურდები

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" სტუმრები არიან მამა გიორგი ჩაჩავა და 55-ე სკოლის დირექტორი პაატა ჩიქოვანი. ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ეკლესიამ და სკოლამ საზოგადოებაში კრიმინალურ მენტალიტეტთან საბრძოლველად. რას აკეთებს დღეს ეს ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი საზოგადოებრივი ცხოვრების გასაჯანსაღებლად? წალენჯიხის ფაქტმა აჩვენა, რომ შესაძლოა, ეკლესიასა და კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდეს. როგორ აღიქვამთ ამ ფაქტს? რამდენად ხშირია მღვდლებისა და კრიმინალური ავტორიტეტების სიახლოვის შემთხვევები?

**მამა გიორგი**: კონკრეტულად ამ ფაქტთან დაკავშირებით მიჭირს საუბარი, რადგან კარგად ვერ ვერკვევი ამ საქმეში. საერთოდ, ჩვენთან უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც განიხილავს მსგავს შემთხვევებს. ეკლესია ბოლო ინსტანციაა. ადამიანის ხელისკვრა ეკლესიიდან მძიმე შემთხვევაა.

**ეკა კვესიტაძე**: დიახ, მაგერამ აქ თვისებრივად განსხვავებული შემთხვევაა. ლაპარაკია იმაზე, რომ, ვთქვათ, ძვირად ღირებული მანქანები, რომლებითაც მღვდლები დადიან, ავტორიტეტების ნაჩუქარია. უნდა იღებდეს თუ არა მღვდელი მათგან ამგვარ საჩუქრებს?

**მამა გიორგი**: ქრისტემ ბრძანა, რომ ექიმი არ არის ჯანმრთელი ადამიანებისთვის, არამედ იგი არის ავადმყოფი ადამიანებისთვის. ეკლესია, პირველ რიგში, არის ცოდვილთათვის. რა თქმა უნდა, მათთან უნდა იმუშაო, მაგრამ საჩუქრები არ უნდა მიიღო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეკლესია ღიაა როგორც ქურდისთვის, ისე ნარკომანისთვის. მათგან ლარიც არ უნდა აიღო, მაგრამ პრინციპში მათთან ურთიერთობა აუცილებელია, მით უფრო მაშინ, როცა მათ სინდისი ქენჯნით და ეკლესიაში მოდიან.

**ეკა კვესიტაძე**: ეკლესიები ჩვენს თვალწინ მრავლდება, მათ ამ სამყაროს წარმომადგენლები აგებენ. ხომ არ არწმუნებენ მღვდლები, რომ ასეთი ქმედებით მათ ცოდვები მიეტევებათ?

**მამა გიორგი:** არავითარ შემთხვევაში. მთავარი მონანიებაა. რელიგიის ისტორიის თვალსაზრისით, ვიცით წმინდანები, რომლებიც თავის დროზე ყაჩაღები იყვნენ. მთავარია მოძღვარი მიხვდეს, რამდენად გულწრფელია ადამიანის მონანიება. ღმერთს ვერ მოქრთამავ... მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი: ეკლესია არსებობს შემოწირულობით. ძალიან ძნელია გააკონტროლო, რა მიზნით აგდებს ესა თუ ის ადამიანი ყუთში ფულს.

**ეკა კვესიტაძე**: რა შეიცვალა სკოლაში ამ თვალსაზრისით, ისევ იგრძნობა თუ არა სიმპათია კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების მიმართ?

**პაატა ჩიქოვანი**: თუ საზოგადოებაში იცვლება აზროვნება, მაშინ სკოლაშიც იცვლება, რადგან სკოლა ერთგვარი მინისახელმწიფოა თავისი ყველა ატრიბუტით. დღეს იმ თაობის შვილები მოდიან, ვინც 90-იან წლებში ან წამალში გაიპარა, ან მანქანაში ჩაცხრილეს, ან ციხეში სხედან. ახალგაზრდებში არის პროტესტის გრძნობა. მგონია, რომ მათ დაინახეს დასანახი. ჩვენი ახალგაზრდების მთავარი პრობლემაა უიმედობა, რომ მათ პატრონი არ ჰყავთ და მათი მომავალი ბუნდოვანია. მთავარია მივცეთ თავის გამომჟღავნების საშუალება, რომ საკუთარი თავის რწმენა გაუჩნდეთ. დღეს ჩემს სკოლაში აღარ არის "რეკეტი", მოგვარდა ბევრი პრობლემა, რომელიც ბავშვებს უბიძგებდა არასწორი ქმედებისკენ.

# ნატალი პორტმანი გოიას მუზას ითამაშებს

24 წლის მსახიობი ნატალი პორტმანი მილოშ ფორმანის ახალ ფილმში ითამაშებს. ფილმი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას შესახებ იქნება და მას "გოიას მოჩვენებები" ერქმევა. გადაღებები შემოდგომაზე დაიწყება ევროპაში. სცენარის ავტორები არიან ჟან-კლოდ კარიერი და მილოშ ფორმანი. დრამა ვითარდება 1792 წლის ესპანეთში, როცა გოია ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული მხატვარი იყო. სკანდალი მწიფდება მას შემდეგ, რაც მისი თინეიჯერი მუზა ერეტიკოსობაში დაადანაშაულა ერთ-ერთმა ბერმა, ესპანეთის ინკვიზიციის მამოძრავებელმა ძალამ. ნატალი პორტმანი სწორედ მხატვრის მუზის როლს შეასრულებს. ბერის როლს ხავიერ ბარდემი ითამაშებს. რაც შეეხება გოიას, მას შედარებით უცნობი მსახიობი სტელენ სკარსგარდი განასახიერებს.

ნატალი პორტმანი 12 წლის ასაკიდან მოღვაწეობს კინოში. მისი დებიუტი შედგა ლუკ ბესონის გახმაურებულ ფილმში "ლეონი". მას შემდეგ პორტმანი ოცამდე ფილმში გადაიღეს. რაც შეეხება ზემოხსენებულ როლს ფორმანის ფილმში, ის კარგი საშუალება იქნება მისთვის საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად და მომავალი კარიერის უზრუნველსაყოფად.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მასშტაბით ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე.

2) ტენდერი ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში 50 ერთეული, თითოეული 600 კვ. მეტრი (20X30) სტადიონების მშენებლობას. პროექტით გათვალისწინებულია: დრენაჟის მოწყობა, შემოღობვა, საფეხბურთო ძელების, ბადის, განათების ძელების დამონტაჟება და შეღებვა.

3) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 თებერვლის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, სატენდერო კომისიის აპარატში.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

-- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

-- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

-- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან)

**ფიზიკური პირისათვის:**

-- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

-- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

-- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)

-- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

-- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.

-- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5) საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.

6) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7) სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 თებერვლიდან -- 17 თებერვლის 17.00 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება -- სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

8) პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2006 წლის 24 თებერვლის 17.00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

9) შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.

10) ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

11) სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 24 თებერვალს 17:00 საათზე.

12) სამუშოს შესრულების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **200** კალენდარული დღე.

13) დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

დავით კასრაძე - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

ირაკლი სამყურაშვილი - სპორტის სამმართველოს უფროსი

ტელ: 23 50 76

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს **55 000** ლიტრი ევრო სტანდარტის - **აი-95** ტიპის საავტომობილო ბენზინისა და **25 000** ლიტრი ევრო სტანდარტის **ლ-62** ტიპის დიზელის საწვავის შესყიდვაზე.

2) ტენდერი ითვალისწინებს მომსახურებას ბენზოგასამართ სადგურებზე ტალონური სისტემით.

3) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 თებერვლის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, სატენდერო კომისიის აპარატში.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

-- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

-- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

-- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან)

**ფიზიკური პირისათვის:**

-- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

-- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

-- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)

-- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

-- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, მომსახურებისათვის საჭირო ბენზოგასამართი სადგურების ჩამონათვალს (მათ შორის სუბკონტრაქტორების) საქართველოს მასშტაბით, მისამართის მითითებით.

5) საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.

6) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8) სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 თებერვლიდან -- 17 თებერვლის 17.00 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება -- სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

9) პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2006 წლის 24 თებერვლის 17.00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

10) შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.

11) ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

14) სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 24 თებერვალს 17:00 საათზე.

15) სამუშოს შესრულების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **200** კალენდარული დღე.

16) დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

დავით კასრაძე - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

ირაკლი სამყურაშვილი - სპორტის სამმართველოს უფროსი

ტელ: 23 50 76

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში სპორტული დარბაზების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისათვის.

2) შესასყიდი ობიექტები დაყოფილია 3 (სამ) ლოტად, შემდეგი სახით:

| ლოტი N | რაიონი | მისამართი |
|---|---|---|
| 1 | **ახალქალაქი** | თეირანის ქუჩა N22 |
| 2 | **ნინოწმინდა** | სპანდარიანის ქუჩა (ცენტრალური პარკი) |
| 3 | **დუშეთი** | მწითურის ქუჩა N3 |

ლოტზე N1 პროექტით გათვალისწინებულია კომპლექსური სპორტული დარბაზის მშენებლობა.

ლოტზე N2 პროექტით გათვალისწინებულია საჭიდაო დარბაზის მშენებლობა.

ლოტზე N3 პროექტით გათვალისწინებულია საჭიდაო დარბაზის გათბობის, წყალგაყვანილობის, ვენტილაციის, სისტემისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

3) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 თებერვლის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, სატენდერო კომისიის აპარატში.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

-- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

-- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

-- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან)

**ფიზიკური პირისათვის:**

-- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

-- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

-- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)

-- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

-- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

-- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.

-- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5) საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.

6) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7) სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 თებერვლიდან -- 17 თებერვლის 17.00 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება -- სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

8) პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2006 წლის 24 თებერვლის 17.00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

9) შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.

10) ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

11) სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 24 თებერვალს 17:00 საათზე.

12) სამუშოს შესრულების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **200** კალენდარული დღე.

13) დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

დავით კასრაძე - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

ირაკლი სამყურაშვილი - სპორტის სამმართველოს უფროსი

ტელ: 23 50 76

***სატენდერო კომისია***

# ევრაზიის ფონდი

## კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები

## www.crrccenters.org

# კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო

# 2006 წ. CRRC-ს სტიპენდიების კონკურსი

CRRC

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო (CRRC-საქართველო) იღებს განაცხადებს 2006 წ. სტიპენდიების პროგრამისთვის. ცენტრი უზრუნველყოფს კვლევითი გრანტებით კერძო პირებს ან მკვლევარების მცირე ჯგუფებს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან კვლევითი პროექტების ჩასატარებლად, რომლებიც კავშირშია სამხრეთ კავკასიისათვის მნიშვნელოვან სოციალურ ან ეკონომიკურ საკითხებთან.

**პროგრამა**: CRRC-ს სტიპენდიების პროგრამა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს კვლევითი გრანტების ორ სახეობას:

ა) *CRRC-ს მონაცემთა ინიციატივის გრანტი*: სტიპენდიანტები ანალიზს გაუკეთებენ და დააფუძნებენ თავის კვლევას CRRC-ს მიერ მონაცემთა ინიციატივის პროექტის დროს მოპოვებულ მონაცემებზე - სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში შეგროვებულ მონაცმთა პაკეტზე.

ბ) *CRRC-ს კვლევითი გრანტი:* სტიპენდიანტები შეაგროვებენ, ანალიზს გაუკეთებენ და დააფუძნებენ თავის კველევას ახალ ან სხვა არსებულ მასალაზე, რომელიც არ არის CRRC-ს მიერ მოპოვებულ მონაცემთა პაკეტებში.

კვლევითი პროექტი შეიძლება განხორციელდეს სამხრეთ კავკასიის ერთ ქვეყანაში წარმოებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ან შეიძლება იყოს შედარებითი ხასიათის CRRC-ს რეგიონალურ ოფისებში ან სხვაგან მოპოვებული მონაცემების გამოყენებით.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების კრიტერიუმები:** განმცხადებლები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოში მუდმივად მაცხოვრებლები.

განაცხადების შემოტანა შეუძლიათ სოციალური მეცნიერებების ან ჰუმანიტარული დარგების ინდივიდუალერ მკვლევარებს, რომლებიც თანამშრომლობენ ან მუშაობენ აკადემიურ ინსტიტუტებში, კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და სახელმწიფო უწყებებში. თუ განაცხადს წარმოადგენს მცირე ჯგუფი, გამოყოფილი უნდა იყოს ერთი მთავარი საკონტაქტო პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი კვლევითი პროექტის წარმართვაზე.

**მხარდაჭერა:** გაიცემა შვიდამდე (7) გრანტი მაქსიმუმ 3 500 ამერიკული დოლარის ოდენობით, რაც დამოკიდებული იქნება შერჩეული სასტიპენდიო განაცხადების რაოდენობაზე და თითოეული შერჩეული კვლევითი პროექტის კონკრეტულ საბიუჯეტო მოთხოვნებზე.

**განაცხადი:** CRRC-ს სტიპენდიის განაცხადის ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ CRRC-ს ვებ-გვერდიდან მისამართზე www.crrc.ge ან მიიღოთ CRRC-საქართველოს ოფისში.

**ბოლო ვადა:** განაცხადები ჩვენმა ოფისმა უნდა მიიღოს არა უგვიანეს **2006 წ. 23 თებერვლის (ხუთშაბათი) 17:00 სთ GMT.**

ყველა დაინტერესებულ განმცხადებელს შეუძლია დაესწროს საორიენტაციო სესიას სტიპენდიანტებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ განაცხადის მოთხოვნებთან, განაცხადის ფორმასა და ზოგადად სტიპენდიების პროგრამასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემაში. ეს სესიები დაეხმარება დაინტერესებულ განმცხადებლებს სრულად შეავსონ განაცხადის ფორმები. შედგება ორი (2) სესია: პირველი **- 2006 წ. 23 იანვარს 11:00 სთ.**, ხოლო მეორე **- 2006 წ. 26 იანვარს 11:00 სთ-ზე**, ორივე CRRC-ს შენობაში.

2006 წ. სასტიპენდიო გრანტის, სტიპენდიანტებისთვის საორიენტაციო სესიების ან CRRC-საქართველოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ ბ-ნ დავით ჩხეიძეს, CRRC-საქართველოს პროგრამის მენეჯერს ტელეფონზე (995 32) 91 24 92/93/51 ან ელ. ფოსტით: david@crrc.ge .

# ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებების დამატება

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 13 იანვარს გაზეთ "24 საათში" საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შესული ცვლილებები და დამატებები

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107 ა/ა 200122900 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

# ტურისტული ლოგოს კონკურსი

ბორჯომის რაიონის ტურიზმის სამსახური და ქ. ბორჯომის გამგეობა აცხადებს კონკურსს **ქ. ბორჯომის ტურისტული ლოგოს** შექმნის მიზნით.

**თემა:** ტურიზმი (რეკრეაცია, მინერალური წყალი, ბუნება... ).

საპრიზო ფონდს აწესებს ქ. ბორჯომის გამგეობა. გამარჯვებული მიიღებს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

ბორჯომის რაიონის ტურიზმის სამსახური და დაბა ბაკურიანის საკრებულო აცხადებს კონკურსს **დაბა ბაკურიანის ტურისტული ლოგოს** შექმნის მიზნით.

**თემა:** სამთო-სათხილამურო კურორტი.

საპრიზო ფონდს აწესებს დაბა ბაკურიანის საკრებულო. გამარჯვებული მიიღებს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

**ნამუშევრების მიწოდების ფორმა:**

ლოგო წარმოდგენილი უნდა იქნას პრიფესიულ ფორმატში, დასაშვებია Corel draw და ერთი ამონაბეჭდი (A5, ფერადი). შესაძლებელია რამოდენიმე ვერსიის წარმოდგენა.

ნამუშევრები მიიღება 2006წ. 9 თებერვლამდე.

**მის**: ქ. ბორჯომი, რუსთაველის გამზ.N1, მე-7 სართული, ბორჯომის რაიონული გამგეობა, საერთო განყოფილება.

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12, მე-2 სართული (ტრანსპორტის სამინისტროს შენობა), საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი.

**ელ-ფოსტა: georgia@turizm.gov.ge**
**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო**
**ტელ: 899 23 10 17**

# ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებების დამატება

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 23 იანვარს გაზეთ "24 საათში" საქართველო-სომხეთის 330 კვ (400 კვ გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შესულია შემდეგი ცვლილება:

განცხადების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. მომსახურების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 აპრილი.

მიწოდების ადგილი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

- დაინტერესებულმა პირებმა პირველადი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 თებერვლიდან 17 თებერვლის 17 საათამდე ზემოხსენებულ მისამართზე, ენერგეტიკის სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-ნ ქ. მშვიდობაძესთან. შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე უცხოურ ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბკონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

განცხადების მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

8. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 23 იანვრიდან 17 თებერვლის 17 საათამდე მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ. №10, სატენდერო კომისიის აპარატში ქეთი მშვიდობაძე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **საავტომობილო და სამშენებლო მანქანების საბურავებისა და აკუმულატორების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 16 თებერვლის 15.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;

ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;

კოდი: 2200101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 თებერვლის 1500 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზურაბ ღონღაძე, ტელ/ფაქსი; 93 28 25, ელ.ფოსტა: z, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4 აცხადებს ტენდერს 51 521 ლიტრი პრემიუმის ტიპის საავტომობილო საწვავის შესასყიდად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4.

სატენდერო მოსაკრებელის გადახდა შეუძლიათ შემდეგ საბანკო ანგარიშზე 000141408.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების მიღების ვადაა 2006 წლის 14 თებერვლიდან 17 თებერვლის 17 საათამდე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები წარმოადგინეთ ორ ეგზემპლარად, ორიგინალისა და ქსეროასლის სახით დახურულ პაკეტში.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 1 აპრილამდე.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ შემდეგი პირებისაგან: გელა ბუკია,შორენა ჭილაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 4. ტელ: 98 74 36.

# განცხადება ღია ტენდერის გამოცხადების შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 3 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

ლოტი №1 - ბათუმის არსებული სადგურის ისრებისა და სიგნალების ელექტრული ცენტრალიზაციის პოსტის მშენებლობა.

ლოტი N2 - სამტრედია -2 სადგურში 7 ლიანდაგის და 2 საისრე გადამყვანის აღდგენა. (მიმღები პარკების ყელების აღდგენა, მიმღები პარკის და გამგზავნი პარკის ელექტრულ ცენტრალიზაციაში ჩართვა, ელექტროფიკაციის სამუშაოები)

ლოტი N 3 - გარდაბნის სადგურის მისაღებ-გასაგზავნი პარკის მშენებლობა (სამოსამსახურეო შენობის მოდერნიზაცია).

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 14 და 15 თებერვლის 900 საათადან 1800 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ
- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა
- მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351, 893 24 32 24.

*სატენდერო კომისია.*




## საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ელეგანტური დიზაინი და განსაკუთრებული ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც არის ყველაფერი საიმისოდ, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი ბიზნესის სამყაროში. ტელეფონი ნამდვილად წარმატებული ადამიანებისათვის. Samsung X 700. ადვილი წარმოსადგენია.

- 1.3 მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT ეკრანი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM რადიო • MP3/ASC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40 ტონური პოლიფონია
- bluetooth • EDGE



X700

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

**ელიტ ელექტრონიქსი** - კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ელიტ ელექტრონიქსი ELIT ELECTRONICS

**Elit Electronics** – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

**3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება**

**3 года бесплатного сервисного обслуживания.**

SAMSUNG
სამსუნგი